გაზეთი ბიეირია. „ვერსია“ ერთია

ვერსია

№105 (861) 11 - 13 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კალაძესთან

„ამბობენ, წელს ცივი ზამთარი იქნებაო, მაგრამ მოსახლეობას გაზისა და ელექტროენერგიის პრობლემა არ შეექმნება“

რატომ არ შემცირდება ენერგოტარიფი, რას ნიშნავს ხუდონჰესის ეკონომიკური ეფექტი და რას პასუხობს ექსპერტებს მინისტრი?

გვ. 3

გვ. 4

მსჯავრდებულების კლასიფიკაცია იწყება

როგორ აპირებს სუბარის უწყება „მაყურებლის ინსტიტუტის“ წინააღმდეგ ბრძოლას

გვ. 6

„ბევრი დეპუტატი, მათ შორის უმრავლესობიდან, ყანაში თოხით ხელში დგომას იმსახურებს“

ვისგან მოითხოვს გიორგი ცაგარეიშვილი „ურჩი დეპუტატების“ გვარების დასახელებას

„ვერსიის“ დოსიე

თარგამაძის ჩიბუხი

გვ. 5

მეტროს თანამშრომლები „ვერსიას“ ახალ სკანდალურ ინფორმაციას აწვდიან

გვ. 8

რატომ დაითხოვეს მეტროპოლიტენიდან ექვსასზე მეტი სპეციალისტი და ნაციონალების რა გეგმას აპროტესტებენ ორგანიზაციის თანამშრომლები

სამართალი

საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია მოსამართლეთა საგამოცდო ვადით დანიშვნაზე

გვ. 7

„რუსეთმა საქართველო არ უნდა ჩათვალოს მხარედ, რომელთანაც ყველაფერი გაუვა“

რა შედეგს მოუტანს საქართველოს რუსეთის მალაჩინოსნებთან მოსალოდნელი შეხვედრები და რას ურჩევს მთავრობას **რამაზ საყვარელიძე**

გვ. 6

კომპანია „თბილღვინომ“ კახელი გლეხებისგან 6 000 ტონაზე მეტი ყურძენი ჩაიბარა

უპრეცედენტოდ კარგად ორგანიზებული რთველში სახელმწიფო არ ჩარეულა და ამ პროცესს შინაგან საქმეთა ან თავდაცვის მინისტრები არ ხელმძღვანელობდნენ!

გვ. 9

გიორგი გუგავა:

„ოცნების“ დამსახურებაა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნების შანსებზე რომ საუბრობს“

გვ. 10

მარჯანიშვილის ქუჩაზე განსხვავებული Mcdonald's გაიხსნა

გვ. 8

მაღე ახალი რესტორნები სანზონას, გლდანს, ნახალოვკას, ასევე მარნეულსაც შეემატება

შინაგან საქმეთა სამინისტრო საია-ს დეზინფორმაციის გავრცელებაში ამხელს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ გაკეთებული განცხადება, თითქოს მოქალაქე ლევან კორკოტაშვილის დაკავების დროს პოლიციელების მხრიდან მასზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა, სიმართლეს არ შეესაბამება. წარსულში 6-ჯერ ნასამართლევი ლევან კორკოტაშვილი, დაკავებულია ნარკოდანაშაულისთვის. დაკავების დროს მან სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია და მოითხოვა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება იმ მიზეზით, რომ მან ყბის ტრავმა მიიღო. მოთხოვნის შესაბამისად, მოქალაქე კორკოტაშვილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბადრაგის თანხლებით გადაიყვანეს, სადაც მედიკოსებმა დაადგინეს (რაც დოკუმენტურად დაფიქსირებულია კლინიკის მიერ გაცემულ „ფორმა №100“-ში), რომ კორკოტაშვილს 30 სექტემბერს აქვს გაკეთებული ოპერაცია ქვედა ყბის მოტეხილობის გამო და ჩაყენებული აქვს ყბის სამაგრი. ექიმების განცხადებით, მას შეუძლია ყბის სამაგრის თვითნებურად ამოგდება, ამჟამად ის ჯანმრთელია და მკურნალობას არ საჭიროებს.

შსს აცხადებს, რომ მსგავსი განცხადებები მიმართულია პოლიციის დისკრედიტაციისკენ და სწორედ ცრუ ინფორმაციების გავრცელების შედეგად ხდება პოლიციის იმიჯის შელახვა. სამინისტრო მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ პოლიციის შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებებისგან.

„ვერსიანიუსი“

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცები მოიწამლნენ

10 ოქტომბერს კვლავ გავრცელდა ინფორმაცია ქართველი ჯარისკაცების მოწამვლის შესახებ. თავდაპირველად, ითქვა, რომ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, 80-ზე მეტი ჯარისკაცი საკვებით მოიწამლა. მოგვიანებით, ითქვა, რომ მოწამლულთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია, კომპანიაში კი, რომელსაც სამხედროების კვებით უზრუნველყოფა ევალება, საკვებით მოწამვლის ფაქტი უარყვეს. **„აღნიშნული საკითხის შესწავლაში ჩართულია თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სამხედრო პოლიცია. ჯარისკაცებს უტარდებათ გამოკვლევები, ასევე მოწმდება კვების პროდუქტი და უახლოეს მომავალში მივიღებთ დასკვნასაც. ამ ბრიგადაში რამდენიმე ასეული ჯარისკაცი მსახურობს და მოწამვლის მიზეზი საკვები რომ ყოფილიყო, მოწამვლა რამდენიმე ჯარისკაცზე არ გავრცელდებოდა“**, — განაცხადა კვების კომპანიის დირექტორის მოადგილე ირაკლი ფირცხალაიშვილმა. მისივე განმარტებით, მოწამვლა არა საკვებს, არამედ ანტისანიტარიას უკავშირდება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ კი, საზოგადოებას იმის შესახებ აუწყა, რომ მეოთხე ქვეით ბრიგადაში სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის ფაქტზე მოკვლევა უკვე დაიწყო. მინისტრის თქმით, მეოთხე ქვეით ბრიგადაში მხოლოდ 7 სამხედრო მოსამსახურე გახდა შეუძლოდ და შესაბამისმა სამსახურებმა მოკვლევა უკვე დაიწყეს: **„7 სამხედრო მოსამსახურე გახდა შეუძლოდ, მსუბუქი ინტოქსიკაციის ნიშნებით. შესაბამისად, სამხედრო პოლიცია, შპს „ქართული კვების“ კომპანიის წარმომადგენლები ადგილზე მივიდნენ, დაწყებულია მოკვლევა. ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, ყველაფერი დაზუსტდება და საზოგადოებისთვის ძალიან მალე გახდება ცნობილი, რამ გამოიწვია ეს მსუბუქი ინტოქსიკაცია“**.

ირაკლი ალასანიამ ისიც განმარტა, რომ სამხედროების კვებასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროში მიდგომა ფუნდამენტურად შეიცვალა: **„ზოგადად კვების საკითხი ძალიან გააქტიურდა ბოლო კვირის განმავლობაში მედიასაშუალებებში. ფუნდამენტურად შეიცვალა მიდგომა, მთლიანად გამოიცვალა მენეჯმენტი ამ სტრუქტურაში. რაც მთავარია, უახლოეს პერიოდში დასრულდება 10 სასადილოს მშენებლობა, შევიძენთ ახალ სამზარეულოებს. მომსახურე პერსონალის ნაწილი ძველად ჰიგიენურ ნორმებს აშკარად არღვევდა. მათ ახლა, ახალ ვითარებაში მოუწევთ სამუშაოს გაგრძელება. რაც შეხება ველზე საკვების გატანას, აქაც იყო პრობლემები — არ ჰქონდათ გადასატანი ჭურჭელი, ვერ იცავდნენ არა მარტო ჰიგიენას, არამედ საკვების ტემპერატურასაც. შესაბამისი აღჭურვილობა ახლა ყველგან შეტანილია. დარწმუნებული ვარ, მომავალში, ასეთი მცირე ინციდენტებიც კი აღიკვეთება“**. მინისტრმა ასევე გაიხსენა სამხედროების ინტოქსიკაციის ძველი ფაქტები. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ივნისში 11 სამხედრო მოსამსახურე მოიწამლა, სამხედრო პოლიციამ აღნიშნული ფაქტის მოკვლევა დაასრულა. ალასანიას განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს საიდუმლო გრიფი ადევს, მოხდა შესაბამისი ცვლილებები, როგორც გაერთიანებულ შტატში, ასევე სამინისტროში. შეიცვალა ასევე, „ქართული კვების“ კომპანიის მენეჯმენტი და ყველა შესაბამისი ზომა უკვე მიღებულია.

„ვერსიანიუსი“

პატრიარქი აშშ-ს ებრაული ორგანიზაციის წევრებს შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში თბილისში ვიზიტად მყოფი აშშ-ს ებრაული ორგანიზაცია „ადვოკატები ევრაზიაში მცხოვრები ებრაელებისთვის“ დელეგაცია მიიღო. ისრაელში საქართველოს ყოფილი ელჩის, პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას განმარტებით, დელეგაციას აშშ-ს ებრაული ორგანიზაციის თავმჯდომარე სტივენ გრინბერგი ხელმძღვანელობს. **„ვაფასებთ იმ კეთილ ურთიერთობებს, რომლებიც ქართველებსა და ებრაელებს შორის უკვე ორი ათასწლეულის განმავლობაში არსებობს, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ კარგი ურთიერთობების განმსაზღვრელი საქართველოს მხრიდან დიდწილად თქვენი პიროვნება ბრძანდება“**, — აღნიშნა ორგანიზაციის ყოფილმა თავმჯდომარემ ედუარდ რობინმა, რომელიც მის უწმინდესობას უკვე მეორედ შეხვდა.

„საბჭოთა პერიოდში ვიბრძოდი, რომ გავსულიყავი დახურული ზონიდან და ჩემს ებრაულ ფესვებს დავბრუნებოდი. იმ პერიოდში საქართველოს პატრიარქი ებრაელებს ეხმარებოდა და გვერდით ედგა. ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს პატრიარქთან შეხვედრას და ამ ფაქტს ჩემს შვილებსაც ავუხსნი ამერიკაში“, — ბრძანა ორგანიზაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე სმუკლერმა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: აშშ-ს მხრიდან აღმასრულებელი დირექტორი მარკ ლევინი, ბიზნესმენი ბორის აბრამოვიჩი და სხვა გავლენიანი პირები. საქართველოს ეკლესიის მხრიდან კი — წმინდა სინოდის წევრები, სასულიერო პირები და პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია. აშშ-ს ებრაული დელეგაცია შეხვდა აშშ-ს ელჩთ რიჩარდ ნორლანდსა და ისრაელის ელჩ იუვალ ფუქსს. ვიზიტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილი იყო, ებრაული სახლისა და სინაგოგების მონახულება, შეხვედრები საქართველოს თავდაცვის მინისტსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან.

„ინტერპრესნიუსი“

კობა დავითაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატებს მიმართავს

„ხალხის პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი კობა დავითაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატებს წინადადებით მიმართავს, მოითხოვონ დებატები თანაბარ პირობებში, მათ შორის სახელისუფლებო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან: **„ეს შესაძლებელია, თუ გიორგი მარგველაშვილი, დებატებისთვის განკუთვნილი ორივე დღის მონაწილე იქნება“**.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს

ეს შემზარავი სტატისტიკაა კვლევაში, რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდის დაკვეთით და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა. როგორც USAID-ში განმარტავენ, ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევის მიზანი იყო მოსახლეობის განწყობისა და დამოკიდებულების კვლევა. კერძოდ, იმის გარკვევა, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ძალადობას; რამდენად ტოლერანტულია ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ და როგორია იმის ალბათობა, რომ ადამიანები შეატყობინებენ შესაბამის ორგანოებს ძალადობის შესახებ, თუ ასეთი ფაქტები მათთვის ცნობილი გახდა.

„კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები“, — აცხადებენ USAID-ში. კვლევაში ასევე ასახულია ძალადობისგან ბავშვთა დაცვის არსებული მექანიზმის ძლიერი და სუსტი მხარეები და წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები.

„ინტერპრესნიუსი“

ბათუ ქუთელიამ თანამდებობა დატოვა

არსებული ინფორმაციით, ბათუ ქუთელიამ მხოლოდ უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის თანამდებობა კი არა, საქართველო დატოვა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თამარ კინწურაშვილი ამ ინფორმაციას ადასტურებს და აღნიშნავს, რომ ქუთელია ამერიკაში გააგრძელებს მუშაობას. ბათუ ქუთელია რამდენიმე წლის წინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი იყო. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ კი მას შემდეგ გადმოიყვანეს, რაც უშიშროების საბჭოს მდივნად გიგა ბოკერია დაინიშნა, 2008 წელს ქუთელია თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტსაც იკავებდა.

საქართველო 2015 წელს ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების წევრი გახდება

ნატო-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, საქართველო 2015 წელს ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების წევრი გახდება: **„მინდა აღვნიშნო, რომ საქართველომ შემოგვთავაზა რეაგირების ძალებში გაერთიანება და ჩვენ მივიღეთ ეს წინადადება. ქართული ქვედანაყოფები პირველად, ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში 2015 წელს გაწევრიანდებიან“**.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას თქმით, ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადება კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების დონე უმაღლესია: **„ეს არის კიდევ ერთი აღიარება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადების დონე არის ისეთივე, როგორიც ნატო-ს წევრი ქვეყნებისა. ჩვენთვის ესაა მნიშვნელოვანი, რადგან არის შესაძლებლობა, კიდევ უფრო გავაღრმაოთ ურთიერთობა ნატო-ს წევრ ქვეყნებთან და გავხდეთ ნაწილი სწრაფი რეაგირების ძალებისა, რომელიც სწორედ იმისკენაა მოწოდებული, ნებისმიერ ცხელ წერტილში, როდესაც იქმნება პრობლემური ვითარება, სწრაფი რეაგირება მოახდინოს. ჩვენი გაწევრიანება იქნება კიდევ უფრო სოლიდური ნაბიჯი, როგორც ნატო-ს მომავალი წევრი ქვეყნისა“**.

„ვერსიანიუსი“

„ამბობენ, წელს ცივი ზამთარი იქნებაო, მაგრამ მოსახლეობას გაზისა და ელექტროენერგიის პრობლემა არ შეექმნება“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთ უცხოელ ინვესტორს ფოთში ალუმინის ქარხნის აშენება უნდოდა. საქართველოს ხელისუფლებამ კი უარი იმის გამო უთხრა, რომ ასეთი მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად ქვეყანას საკმარისი ელექტროენერგია არ ჰქონდა. ეს ამბავი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ გვიამბო და იქვე დასძინა, რომ ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია აქვს, დამატებითი სამუშაო ადგილები, ქარხნები და საწარმოები შექმნას, საკმარისი ელექტროენერგიაც უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, უფრო ზუსტად კი, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების თვალსაზრისით, ხუდონჰესის პროექტს სტრატეგიული და მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. რატომ უნდა აშენდეს ხუდონჰესი, რატომ უპირისპირდება კახა კალაძეს გარემოს დაცვის მინისტრი, რამდენად შესაძლებელია ენერგოტარიფის შემცირება და როგორ ხვდება ქვეყანა სინოპტიკოსების მიერ უკვე დაანონსებულ ცივ ზამთარს? „ვერსიას“ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ესაუბრება.

რატომ არ შემცირდება ენერგოტარიფი, რას ნიშნავს ხუდონჰესის ეკონომიკური ეფექტი და რას პასუხობს ექსპერტებს კახა კალაძე?

— ბატონო კახა, „ყაზტრანსგაზთბილისში“ ყაზახების დაბრუნებასთან დაკავშირებით, სამთავრობო ჯგუფი უკვე შეიქმნა. რა ვითარებაა კომპანიაში ახლა?

— „ყაზტრანსგაზთბილისთან“ დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, რათა ეს კომპანია ყაზახებს დავუბრუნოთ. სამთავრობო კომისიაში, რომელიც გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით ყაზახეთში იმყოფებოდა, მეც გახლდით. შესაბამისად, ყაზახეთშიც დავაფიქსირეთ თანხმობა — მზად ვართ, ყაზახები კომპანიაში დაბრუნდნენ. ერთადერთი პრობლემა ვალის დაბრუნება იყო, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ეს საკითხი უკვე დაარეგულირა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ყაზახები საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებას ელოდებიან და ამის შემდეგ, მათი დელეგაციაც ჩამოვა. რაც შეეხება კომპანიის დავალიანებას, ეს ყაზახების პირადი პრობლემაა, რადგან ვალი 140 000 000 ლარზე მეტია. ვფიქრობ, ვალი ან უნდა გაიქვითოს, ან მისი რესტრუქტურიზაცია უნდა განხორციელდეს, რათა გრაფიკის მიხედვით, ეტაპობრივად დააბრუნონ.

— პრემიერისა და ექსპერტების შეხვედრისას ანალიტიკოსმა დემურ გიორხელიძემ განაცხადა, რომ სპეციალისტების გაანგარიშებით, შესაძლებელია გაზის ტარიფი 34 თეთრამდე შემცირდეს, ელექტროენერგიის სამსაფეხურიანი ტარიფი გაუქმდეს და ზამთარში 1 კილოვატსაათი ელექტროენერგია 11, ხოლო ზაფხულში 10 თეთრი ღირდეს. რეალურია ეს გათვლები?

— არაერთხელ შევხვდით ექსპერტებს. ჯერ კიდევ არჩევნებამდე, გარკვეული ჯგუფები პოპულისტურად, ქულების დასაწერად, სრულიად დაუსაბუთებელ, რეალური მონაცემების გამოყენების გარეშე დათვლილ ტარიფებზე საუბრობდნენ. ასეთი ადამიანების თვითპიარზე გათვლილი განცხადებების გამო ჰგონია საზოგადოებას, რომ „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ ტარიფების განახევრების პირობას დებდა. იმ ექსპერტებისაც მესმის, რომლებსაც შესაძლოა, სრულყოფილ ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონდათ, მაგრამ არავისთან თანამშრომლობაზე უარს არ ვამბობთ. თუ სერიოზული გათვლები აქვთ, გვაჩვენონ. როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, პირველი, რაც გავაკეთეთ, სამუშაო ჯგუფი შევქმენით, სადაც პროფესიონალები გაწევრიანდნენ, რომლებიც ენერგეტიკაში კარგად ერკვეოდნენ. ჯგუფს დავავალეთ დაედგინა, იყო თუ არა რესურსი ტარიფის შესამცირებლად ისე, რომ კომპანიები, სახელმწიფო და მოსახლეობა არ დაზარალებულიყო. კომპანიებზეც გვაქვს პასუხისმგებლობა, რადგან იქ ათასობით ადამიანია დასაქმებული. დასკვნა გაკეთდა, რომ დენის ტარიფი 4 თეთრით უნდა შემცირებულიყო და ასეც მოხდა. ცალკე თემაა ტარიფის მეთოდოლოგია. სადავოა, უნდა იყოს თუ არა ელექტროენერგიის სამსაფეხურიანი ტარიფი, მაგრამ ფაქტია, ეს ტარიფი, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური პირობების გამო შემოიღეს. მესმის, ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში, ვინც უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ნაკლებს უნდა იხდიდეს, მაგრამ იმ ქვეყნებში პენსია 1 000 აშშ დოლარს აღწევს და არც ისეთი სოციალური პრობლემები აქვს მოსახლეობას, როგორც ჩვენთან. ეს ძალიან კარგად ვიცი და არავისგან არაა საჭირო მინიშნება — ევროპაშიც ვცხოვრობდი და ბევრი რამ საკუთარი თვალით მინახავს. რა თქმა უნდა, დენის სამსაფეხურიანი ტარიფის შემცირება შესაძლებელია, მაგრამ ამას ხანგრძლივი მუშაობა და პროფესიონალების გათვლები სჭირდება.

— ექსპერტები ამბობენ, კალაძე ტარიფებს არ ამცირებს, რადგან ინტერესთა ჯგუფებს ლობირებსო. რა ინტერესთა ჯგუფები არსებობს და ვის ლობირებთ?

— ხომ შევამცირეთ ტარიფი, მეტი რა გავაკეთოთ? კიდევ თუ უნდა შემცირდეს, მაშინ კომპანიები რომ დაინგრევა და თანამშრომლებს დაითხოვენ, ამაზე პასუხისმგებლობა ამ ექსპერტებმა აიღონ. ენერგეტიკის სამინისტრო პოლიტიკას ატარებს და მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს. რაც შეეხება ტარიფის დათვლას, ეს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ფუნქციაა. როგორც მინისტრს, არანაირი უფლება არ მაქვს, ჩავერიო ტარიფების დათვლაში და კომისიას მივუთითო, რამდენით უნდა შემცირდეს გაზის ან დენის გადასახადი.

— დღეს ყველაზე აქტუალური თემა ხუდონჰესის მშენებლობაა. უხვმდინარიანმა ქვეყანამ ჰიდრორესურსი უნდა გამოიყენოს, მაგრამ ამ ტიპის ჰესების მშენებლობისას გარემო პირობებიც დაცული უნდა იყოს. უნდა აშენდეს თუ არა ხუდონჰესი?

— ხუდონჰესი მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ენგურჰესის შემდეგ, სიდიდით მეორე იქნება. ხუდონჰესის სიმძლავრე 700 მეგავატი უნდა იყოს, რაც ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. როცა ხუდონჰესის პრობლემებზე საუბრობენ, ძირითადად, ეკოლოგიურ ვითარებას გულისხმობენ. არსებობს სპეციალისტების დასკვნები, სადაც დადასტურებულია, რომ ეკოლოგიური მიმართულებით, ამ პროექტის გარემოზე ზემოქმედება საკმაოდ მცირეა. ხუდონჰესის ყველაზე დიდი პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობა და მათი სოციალური ვითარებაა. ამ პროექტზე მსჯელობისას, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, „მწვანე ალტერნატივის“ მონაწილეობით, ჯგუფი შევქმენით და 2011 წელს, ინდურ კომპანია „ტრანს ელექტრიკასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება განვიხილეთ. რამდენიმე საკითხი გავაუმჯობესეთ კიდეც. მაგალითად, ხელშეკრულებაში გაწერილი იყო, რომ ინდურ კომპანიას მხოლოდ სამი თვის მანძილზე უნდა დაეტოვებინა ელექტროენერგია საქართველოში. ჩვენ სამი თვე ოთხით შევცვალეთ. დავაფიქსირეთ ციფრი, რასაც საქართველო ელექტროენერგიის შესყიდვაში გადაიხდის — 5,84 ცენტი 1 კვტ/სთ-ზე, 10 წლის განმავლობაში. დღეს, იმპორტირებულ დენში რუსეთს 1 კვტ/სთ-ში — 6,03 ცენტს ვუხდით, 5,84 ცენტი კი, საკმაოდ ნაკლებია.

— კონკრეტულად, რას ნიშნავს ხუდონჰესის ეკონომიკური ეფექტი?

> **— ხუდონჰესზე 4 000 ადამიანი დასაქმდება და სახელმწიფო ბიუჯეტში, მათი ხელფასიდან დაქვითული საშემოსავლო გადასახადის სახით, 23 000 000 ლარი შევა, მოგების გადასახადიდან — 22 000 000 ლარი, ხოლო ქონების გადასახადის სახით — 20 000 000 ლარი. რაც მთავარია, ეს 20 000 000 ლარი ადგილობრივ ბიუჯეტში, სვანეთის მუნიციპალიტეტში დარჩება. ცალკე უნდა განვიხილოთ ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტი, რასაც ინდური კომპანია „ტრანს ელექტრიკა“ განახორციელებს. დენის გატარების ტარიფის სახით, ყოველწლიურად 19 000 000 ლარი შემოვა ბიუჯეტში. ზოგადად, ხუდონჰესის პროექტის საშუალებით, 35 000 000 აშშ დოლარიდან, 45 000 000 აშშ დოლარამდე დავზოგავთ, რასაც ახლა ყოველწლიურად ვუხდით რუსეთს. ხუდონჰესის ხარჯზე, ენგურსაც მოემატება ელექტროენერგიის გამომუშავება და ჯამში, 500 000 000 მეგავატს მივიღებთ.**

რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ჯგუფმა, რომელიც ამ მემორანდუმზე მუშაობდა, დასკვნაში ჩაწერა, რომ მოსახლეობის გადასახლება მსოფლიო ბანკის რეგულაციებით განხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ მოსახლეს მოველაპარაკებით, მათ ქონებას შევაფასებთ და აღვწერთ, კომპენსაციის სახით კი საკმაოდ სოლიდურ თანხას გავცემთ. არ გვინდა, სვანეთი დაიცალოს, ამიტომ მოსახლეობასთან ერთად უნდა გადავწყვიტოთ და იქვე ახალი სოფელი გავაშენოთ, რათა ეს ხალხი ადგილზე დარჩეს. სხვათა შორის, ხუდონჰესის პროექტის არგანხორციელებაში, სხვა ქვეყნის ინტერესებსაც არ გამოვრიცხავ...

— რუსეთის ინტერესებს გულისხმობთ?

— არა მარტო... საკვანძო რეგიონში ვართ, სადაც ბევრი მეზობლის ინტერესი იკვეთება. საქართველოში წლიური ენერგეტიკული იმპორტი 75%-ს შეადგენს, რაშიც ნავთობპროდუქტებისა და გაზის იმპორტიც შედის. აქედან გამომდინარე, როგორ გგონიათ, რატომ მოუნდება, მაგალითად რუსეთს, საქართველომ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელოს, როგორიც ხუდონჰესია?! ყველა მიმართულებით ვმუშაობთ, რათა დავადგინოთ, რეალურად ვინ და რატომ ეწინააღმდეგება ხუდონჰესის მშენებლობას. სახელმწიფოს პოზიციაა, სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი აუცილებლად განახორციელოს. არ გამოვრიცხავ, ამ პროექტში სახელმწიფომაც მიიღოს წილობრივი მონაწილეობა. ჯერ არ ვიცი, მაგრამ, შესაძლოა, სახელმწიფოს წილი 30-50% იყოს, რაც მსჯელობის საგანია. ინვესტორს უკვე ვესაუბრეთ და ამ მიმართულებით პრობლემა არ არის, მაგრამ მთავრობაც იმსჯელებს. გვინდა, ადგილობრივ მოსახლეობას ადამიანურად ავუხსნათ, რომ ხუდონჰესი მხოლოდ ჩვენთვის არ შენდება. ეს საშვილიშვილო და საერო საქმეა! სხვათა შორის, ბევრი მანიპულირებს, თუ ხუდონჰესი აშენდება, ეკლესიები და სასაფლაოები ჩაიძირებაო, რაც ტყუილია. პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ ახალ ადგილზე, სადაც სოფელი გაშენდება, ყველა საფლავს გადავასვენებთ, მათ შორის იმ საფლავებსაც, რომლებსაც ჭირისუფლები არ ჰყავთ. მეტიც, არც ისე დიდი ხნის წინ მოვიძიე მონაცემები, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობდა მესტიაში წლების მანძილზე და რამდენმა დატოვა საკუთარი საცხოვრებელი. 1989 წლიდან, მესტიის მუნიციპალიტეტში 25 000 ადამიანი ცხოვრობდა. დღეს კი მხოლოდ 12 000-ია დარჩენილი. ამ დრომდე, ჰიდროელექტროსადგური ხომ არ აშენებულა, ესე იგი, ჰესი მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი ნამდვილად არ არის. ხალხი კატასტროფულ პირობებში ცხოვრობს და მათი მიგრაციის მიზეზი სწორედ ესაა. ჰესის მშენებლობის დასრულებისთანავე, ტურისტული ზონის მოწყობასა და სასტუმროების აშენებას ვაპირებთ, როგორც ევროპის ქვეყნებშია მიღებული.

— გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე შეფარვით გეწინააღმდეგებათ — პირადად კი არ ამბობს ხუდონჰესი არ უნდა აშენდესო, ჰოლანდიელი ექსპერტები ჩამოჰყავს, რომლებმაც ისეთი ბუნდოვანი დასკვნა დადეს, გამოცდილი სპეციალისტებიც დააბნიეს. რა ხდება?

— ჰოლანდიელ ექსპერტებს შენიშვნა მხოლოდ ნატანებთან დაკავშირებით ჰქონდათ — ამბობდნენ, როცა კაშხალი შეივსება, ბევრი ნატანი იქნებაო, მაგრამ სხვა სპეციალისტების დასკვნაც გვაქვს, სადაც პირდაპირ წერია — 67 წლის მანძილზე, კაშხლის წყალსაცავი სულ რომ არ გაიწმინდოს, ჰესი ჩვეულებრივად იმუშავებს. ჰოლანდიელი ექსპერტები ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდნენ, მაგრამ ვერ თქვეს, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ხუდონჰესს. ჩემი აზრით, სრულ გაურკვევლობაში იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ საქართველოში 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი 1 თეთრი იყო, ამიტომაც გვითხრეს, რომ ეს პროექტი არასახარბიელოა, რადგან ინდურ კომპანიას ქვეყანა 1 კვტ/სთ-ში — 5,84 ცენტს გადაუხდის. გარემოს დაცვის სამინისტრო მთავრობის ნაწილია. ხუდონჰესის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება კი მთავრობამ მიიღო. ეს ვერ იქნება ვერც ჩემი და ვერც გარემოს დაცვის მინისტრის, ან მთავრობის რომელიმე სხვა წევრის პირადი ინიციატივა. ამიტომ რეალურია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს გააკეთებს ჩვენთან ერთად, რათა ხუდონჰესის პროექტი სწორად განვახორციელოთ.

— სინოპტიკოსები ცივ ზამთარს გვიწინასწარმეტყველებენ. როგორ ემზადებით?

> **— მაქსიმალური მობილიზაცია გამოვაცხადეთ. გარკვეული სამუშაოები ზაფხულში დავიწყეთ, მაგრამ არ დაგიმალავთ, ელექტროგადამცემ ხაზებთან დაკავშირებით, კატასტროფული მდგომარეობაა. ეს განსაკუთრებით რეგიონებში იგრძნობა. მართალია, „ენერგოპრო ჯორჯია“ მუშაობს და სარეაბილიტაციო სამუშაოებსაც ატარებს, მაგრამ უფრო მეტი მასშტაბურობაა საჭირო. ამინდის ცვლილების დროს, საკმარისია ქარი ამოვარდეს ან გაწვიმდეს, ელექტროენერგია მაშინვე ითიშება. სხვა მხრივ, ენგურზე კარგი ვითარება გვაქვს, რადგან იმდენი წყალია, უკვე ექსპორტსაც კი ვახორციელებთ. ამბობენ, წელს ცივი ზამთარი გვექნებაო, მაგრამ გაზისა და ელექტროენერგიის მიმართულებით, მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნება.**

„ბევრი დეპუტატი, მათ შორის უმრავლესობიდან, ყანაში თოხით ხელში დგომას იმსახურებს“

რუსუდან შელია
557-100-768

2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას ირკვევა, რომ გაისად რამდენიმე სამინისტროს სახელმწიფო დაფინანსება შეუმცირდება. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაფინანსება ორი მილიონი ლარით იზრდება, თუმცა უწყება დამატებით კიდევ ორ მილიონს ითხოვს. რა რეფორმები ტარდება გარემოს დაცვის მიმართულებით და რატომ ჩხუბობენ ხშირად ბიძინა ივანიშვილი და მინისტრი ხათუნა გოგალაძე, ჰყავთ თუ არა დეპუტატების თანაშემწეებს „ყავის მომდუღებლები“ და რა მიზეზით არ დადის გოგა ხაჩიძე კომიტეტის სხდომებზე? „ვერსიას“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი ესაუბრა.

ვისგან მოითხოვს გიორგი ცაგარეიშვილი „ურჩი დეპუტატების“ გვარების დასახელებას

— ახალი საბიუჯეტო პროექტის მიხედვით, გარემოს დაცვის სამინისტროს დაფინანსება ორი მილიონი ლარით იზრდება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ უწყებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობს,

თუმცა შეუფერხებლად მუშაობის გასაგრძელებლად კიდევ ორი მილიონი ლარი გვჭირდება. ფინანსთა სამინისტროში განაცხადი უკვე შევიტანეთ.

— იმ ფონზე, როცა სასჯელაღსრულების, დევნილთა და განსახლების, ასევე ეკონომიკის სამინისტროებს ბიუჯეტიდან დაფინანსება სოლიდურად უმცირდება, გარემოს დაცვის სამინისტრომ დამატებით ოთხი მილიონი რატომ უნდა მიიღოს?

— ბევრ უწყებაში სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა, ამიტომ სოლიდური თანხების ამ სამინისტროებისკენ მიმართვა საჭირო აღარ არის. მაგალითად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ პირველი ოქტომბრის შემდეგ დაზარალებულებს საკუთრებაში არაერთი ბინა გადასცა, შესაბამისად, ბინის ქირისთვის განკუთვნილი თანხა ავტომატურად გამოთავისუფლდა. დაახლოებით იგივე შემთხვევა გვაქვს ეკონომიკის სამინისტროშიც, რომელმაც მესტიაში საბაგიროს მშენებლობა ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადააბარა. ახალი ბიუჯეტი სოციალურ სფეროებზეა ორიენტირებული, ბიუროკრატიულ ხარჯებს კი ვამცირებთ. არავის ეგონოს, ეს ხადურის ან კვირიკაშვილის ახირებაა, პირიქით — ყველაფერი დანარჩენ მინისტრებთან კოორდინირებულად გადაწყდა.

— თუმცა ფაქტია, კოორდინაციის პრობლემა მინისტრებს შორის მაინც არსებობს... მაგალითად, ირაკლი ალასანიასა და ირაკლი ღარიბაშვილს, ასევე კახა კალაძესა და ხათუნა გოგალაძეს შორის.

— ივანიშვილმა მთავრობაში კონკურენციის მიმართულებით უნიკალური სისტემა შექმნა. მართალია, პრემიერს კონკრეტულად ხათუნა გოგალაძესთან არაერთხელ უჩხუბია, მაგრამ ქალბატონ ხათუნას ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს — პრემიერს არასოდეს მოუცია ჩემთვის ისეთი დავალება, რომელიც ჩემს კომპეტენციას სცდებაო.

— პრემიერი გარემოს დაცვის მინისტრს რა საკითხზე ეჩხუბება?

— საკამათო ბევრი საკითხია, თუმცა საქმისადმი მსგავსი მიდგომა ჯანსაღია და განვითარებაზეა ორიენტირებული, ასე რომ, გუნდში დაპირისპირების საკითხი დიდი ხანია ამოწურულია. შესაძლოა ირაკლი ალასანია სრულად ინფორმირებული არ იყო „ჯიჰადის“ ვიდეოსთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ, თუმცა ეს იმის ბრალია, რომ კოორდინაცია ქვედა დონეზე არ იყო. ამ მიმართულებით სისტემა მართლაც ასაწყობია. ყველამ დეტალურად უნდა ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ, სხვა მხრივ, თითოეულ მინისტრს ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს. რაც შეეხება გოგალაძე-კალაძის კონფლიქტს, ეს ბუნებრივიცაა — ერთი გარემოს, მეორე კი ენერგეტიკოსების ინტერესების დამცველია. ხუდონჰესთან დაკავშირებით საქმე მართლაც რთულადაა, თუმცა უნდა ვეცადოთ, ურთიერთობაში წარმოქმნილი წვეტიანი წამონაზარდები გლუვი გავხადოთ. ეს ბუნებრივი პროცესია. საქმე სწორედ აზრთა გაცვლის პირობებში კეთდება. ამ დროს ნაციონალური მოძრაობა იმაზე მსჯელობს, თურმე კონცერტები ხშირად რატომ არ ტარდება. რომაელი იმპერატორების დევიზი იყო — ხალხს მიეცი პური და სანახაობაო. გარწმუნებთ, „ქართული ოცნების“ პირობებში სანახაობა არ იქნება, პური — კი, თან ბლომად. ამის შემდეგ, დაპურებულმა ადამიანმა თავად გადაწყვიტოს, რომელი სანახაობის ნახვა უნდა. ნაციონალებისგან განსხვავებით, ჩვენთვის ახლა პრიორიტეტული თუნდაც თბილისში მცხოვრები ათასობით მშიერი ადამიანია.

— თუმცა მშიერი თბილისელების ფონზე, „თბილისობის“ დღესასწაულზე, თბილისის საკრებულომ ბიუჯეტიდან შვიდი ათასი ლარი დახარჯა.

— კობა ხაბაზი, რომელიც ამ ინფორმაციას ავრცელებს, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მერიაში შექმნილ სტრუქტურებში დასაქმდა და ფუქსავატობაში 2500 ლარს იღებს. ამ ადამიანმა ის რატომ არ თქვა, იმავე ღამეს მერიამ ფუნიკულიორზე, ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ რესტორანში რომ იქეიფა?

— მერიის მიერ ორგანიზებული ძვირადღირებული ვახშამი საკრებულოს შვიდიათასლარიან წვეულებას ამართლებს?

— გეთანხმებით — როცა დედაქალაქს უჭირს, საკრებულომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ საღამოში შვიდი ათასი ლარი არ უნდა დახარჯოს, რადგან ეს საზოგადოებას არ სიამოვნებს; თანაც ოპონენტებს მსგავსი თემებით სპეკულირების საშუალება არ უნდა მივცეთ. პირადად მე, ირაკლი შიხიაშვილის ადგილას, სხვანაირად მოვიქცეოდი. სხვათა შორის, პარლამენტარებზეც ხშირად გამიგია, ბოლო მოდელის ავტომობილებით დადიანო, არადა, მანქანები რეალურად, 6-7 წლის წინაა შეძენილი.

— პარლამენტმა რამდენიმე ახალი, საკმაოდ ძვირადღირებული ავტომობილი მართლაც შეიძინა.

— დიახ, მაგრამ ამის მიზეზი რამდენიმე ავტოსაგზაო შემთხვევა გახდა. თანაც წინა მოწვევის პარლამენტის მიერ შეძენილი მანქანები დაზიანებულია. მე, როგორც დეპუტატი, ვალდებული ვარ, პარლამენტში ვიმუშაო, მაგრამ თავის მხრივ, სახელმწიფომ სამუშაო პირობები უნდა შემიქმნას. ყანაში ხომ არ ვიმუშავებთ? თუ ქუთაისამდე ცხენით ვიაროთ? უმცირესობის წევრები კომიტეტის სხდომებზე საერთოდ არ დადიან. მაგალითად, ჩემი მოადგილე, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი გოგა ხაჩიძე, ოთხი თვეა არ მინახავს, სათოფეზე არ მეკარება. ყოველი სხდომის წინ წერილებს მწერს — ოჯახური პირობების გამო სხდომას ვერ დავესწრებიო, არადა, ამ დროს, იმავე შენობაში, დარბაზში წამოსკუპებული ბევრჯერ მინახავს. თანაც ნაციონალებმა პარლამენტი ისე შორს ააშენეს, რომ ქუთაისელებიც კი ვერ მოდიან.

— სამაგიეროდ, ვინც მოდის, იმ მოქალაქეებს დეპუტატები ხშირად არ ხვდებით.

— ეს არაა მართალი... ისევე, როგორც ის, თითქოს დეპუტატები ჟურნალისტების ზარებს არ ვპასუხობთ. თუ მართლაც რომელიმე დეპუტატი ასე იქცევა — ცუდია. ჟურნალისტებისა და პრემიერის შეხვედრაზე, ერთმა ჟურნალისტმა თქვა, დეპუტატების თანაშემწეებს სახელმწიფო მანქანები ემსახურება და ყავის მომდუღებლებიც ჰყავთო... ძალიან გთხოვთ, დეპუტატებს ბარონებად ნუ გამოგვიყვანთ. როცა მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება, პარლამენტარების სახელი და გვარი უნდა დასახელდეს. ან გამაგებინეთ, დავით უსუფაშვილმა ყავა თავად უნდა მოადუღოს და საერთოდ, დეპუტატები თვითმმსახურებაზე გადავიდეთ?! ყველა სკეპტიკოსს ვპასუხობ, „თავისუფალი დემოკრატები“ ფუფუნებაში არ ვიხრჩობით და სატელეფონო ზარებს ვპასუხობ! კი ბატონო, ბევრი დეპუტატი, მათ შორის უმრავლესობიდან, ყანაში თოხით დგომას იმსახურებს, მაგრამ ვიმეორებ, უნდა დაკონკრეტდეს, ვისზეა საუბარი.

— კონკერტულად, რომელ დეპუტატებზე საუბრობთ?

— ამჯერად, არ დავაკონკრეტებ.

— სანამ თქვენ ყავის მომდუღებლების საკითხს არჩევთ, ნაციონალები საკმაოდ მასშტაბურ ყრილობას ატარებენ და ხელისუფლებაში დაბრუნებაზეც საუბრობენ.

— ნაციონალებმა პარტიის ყრილობა „თბილისობის“ დღესასწაულს შეგნებულად დაამთხვიეს, მსგავსი ფოკუსები უგულავასა და სააკაშვილისგან ბევრჯერ გვინახავს. რაც მთავარია, საზოგადოებამ კიდევ ერთხელ ნახა, რომ ნაციონალური მოძრაობა განახლებაზე სულაც არ არის ორიენტირებული. პირიქით, პარტიაში მათთვის საძულველი სახეები ლიდერებად რჩებიან. თუ შარშანდელ ყრილობას გავიხსენებთ, ნაციონალებმა 80-ათასიანი სტადიონი გაავსეს, სპორტის სასახლეში კი მხოლოდ რვა ათასი ადამიანი შეიკრიბა ანუ მათი მხარდამჭერთა რაოდენობა ათჯერ შემცირდა, რაც ტრაგიკულია მათთვის, ჩვენთვის კი საგანგაშო სულაც არ არის. თუ ხალხის შეკრებაში შევეჯიბრებით ერთმანეთს, მაქსიმუმ ხუთ დღეში, სულ მცირე, ორასი ათასი ადამიანის ქუჩაში გამოყვანა შეგვიძლია.

— და ეს არ არის ხელისუფლებისთვის იმის მანიშნებელი, რომ საზოგადოებაში ნეგატიური მუხტი ღვივდება?

— მიამიტი არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ არასოდეს მქონდა განცდა, რომ ჩვენი მუშაობით უკმაყოფილო ადამიანები ქვეყანაში არ გაჩნდებოდნენ, თუმცა ეს ტრაგედია არ არის. ტრაგედია იქნება მაშინ, თუ უკმაყოფილო ხალხის მასა კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბებს. მსგავს რამეს კი კოალიცია არ დაუშვებს — ავად თუ კარგად, დღეს წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებები მაინც სრულდება. მესმის, პირველი ოქტომბრის შემდეგ ბევრი მყისიერ ცვლილებებს ელოდა, მაგრამ ჩვენი სამოქმედო პროგრამა ოთხ წელზეა გაწერილი და ყველაფერი ეტაპობრივად გაკეთდება.

„უმუშევრობის მაჩვენებელი საქართველოში წელს 1,7%-ით გაიზრდება“

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2,5%-მდე შეუმცირა. 2013 წლის დასაწყიში სსფ — 6%-იან, ხოლო ივნისში 4%-იან ზრდას ვარაუდობდა.

„საქართველოში ეკონომიკური ზრდის შენელება განპირობებულია შემცირებული კერძო ინვესტიციებითა და კრედიტებით, ასევე საბიუჯეტო თანხების ეკონომიური ხარჯვით. ფინანსური სახსრების დაზოგვამ ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება გამოიწვია, ამიტომ მთავრობამ პრიორიტეტი პროდუქტიულ ხარჯვას უნდა მიანიჭოს, რათა მოთხოვნა წაახალისოს“, — აღნიშნულია სსფ-ის მიერ გავრცელებულ „2013 წლის ეკონომიკური პროგნოზში“.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის შემცირება საქართველოში დეფლაციის წნეხს შეარბილებს, თუმცა მთავარი რეკომენდაცია პოლიტიკური არასტაბილურობის მოგვარებაა, რათა ქვეყანამ ინვესტორების ნდობა დაიბრუნოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, საქართველოს ეკონომიკის ზრდა მომავალ წელს 5%-ს მიაღწევს. ეს მაჩვენებელი ჩადებულია 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტშიც. სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მშპ-სთან მიმართებაში წელს 5%-ით შემცირდება და -6,5%-ს მიაღწევს.

უმუშევრობის დონე საქართველოში, გასულ წელთან შედარებით 1,7%-ით გაიზრდება და 16,7%-ს მიაღწევს. მომავალი წლისთვის სსფ ამ მაჩვენებლის 17,3%-მდე ზრდას ვარაუდობს, რაც სომხეთის შემდეგ დსთ-ის სივრცეში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

„ინტერპრესნიუსი“

ოჯახში მესამე ბავშვს, 6 წლამდე, ყოველთვიურად 100 ლარს გადასცემენ?

ინიციატივა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე 2014 წლის ბიუჯეტის განხილვისას კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ გააჟღერა: **„ვფიქრობ, ოჯახში ყოველი მესამე ბავშვი უნდა დაფინანსდეს ყოველთვიურად. ეს, გარკვეულწილად, გადაანგარიშებული გვაქვს და ამას სჭირდება დაახლოებით 5 მილიონი ლარი. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა იქნება და ხელს შეუწყობს შობადობის გაზრდას, რაც თავის მხრივ, დემოგრაფიული პროგრამის გადაჭრაში დაგვეხმარება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ პირველ რიგში, ვფიქრობთ ის რეგიონები დავაფინანსოთ, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა“**, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ და დასძინა, რომ კომიტეტზე წარმოადგენენ საფინანსო დოკუმენტს, უკვე გათვალისწინებული შენიშვნებით. ხუნდაძე იმედს გამოთქვამს, რომ კომიტეტი და შემდეგ პარლამენტი, მის ინიციატივას მხარს დაუჭერს.

„ექსპრესნიუსი“

თარგამაძის ჩიბუხი

რეზო შატაკიშვილი

მეფის ნავიდან ხტომა რომ სპორტის სახეობად იყოს აღიარებული, ერთი ოქრო ყოველთვის გარანტირებული გვექნებოდა ოლიმპიურ თამაშებზე – გიორგი თარგამაძე გვყავს.

რატომ მონაწილეობს არჩევნებში გიორგი თარგამაძე, მან ხომ ზუსტად იცის, პრეზიდენტი ვერ გახდება? ზუსტად ვიცი, რომ უნდა, მაგრამ ისიც ზუსტად ვიცი, რომ გამარჯვების იმედი არ აქვს. რა არის მისი ამოცანა, გარკვეული პროცენტები წაგლიჯოს რეალურ პრეტენდენტებს, რათა გარდაუვალი გახდეს მეორე ტური თუ ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა შემდგომი არჩევნებისთვის, თუნდაც თბილისის მერის არჩევნებისთვის, რომელიც კარსაა მომდგარი? დავით ბაქრაძეს ვერ უწევს კონკურენციას და რატომ ჰგონია, რომ უგულავას გაუწევს? ჰგონია, რომ ოცნებას ეყოლება სუსტი კანდიდატი და ეს ეიმედება? ოცნებას არც ახლა გამოუყვანია სახელოვანი ფალავანი, მარგველაშვილს თუ ვინმე ხმას აძლევს, ბიძინას ხათრით. 2014 წელს ბიძინაც იქნება, მისგან ხელდასხმული მერობის კანდიდატიც და ეს ხათრიანი ელექტორატიც. აბა, რას წვალობს გიორგი თარგამაძე? დავიჯერო, ქართლოს ღარიბაშვილი დაემართა? ა, „გდე“ ჩიბუხი? თან ხომ ნახა, რაც დაემართა მისი პარტიის მიერ წარდგენილ მენავთობე გია ჭანტურიას? 10,7% პროცენტისამარა დარჩა კაცი, კაცი, რომელსაც თავის დროზე, პრეზიდენტობის ამბიციაც კი ჰქონდა, მოთმინებითა და ყოველგვარი ვარდ-ყვავილების ქნევის გარეშე ელოდა, როდის დასრულდებოდა მისი მამამზის – ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ვადა და როდის გადააბარებდა ხავერდოვნად ძალაუფლებას, მაგრამ მიშას ვარდებმა უსკამოდ დატოვა. არადა, რას არ ჰპირდებოდა ხალხს – მუქთა წყალს და იაფ გაზს. თარგამაძეს კიდევ უარესი, ამ ერთი წლის წინ დაემართა — არჩევნებზე სულ 2,04% მიიღო. თუ მერის არჩევნებზე თბილისში, გია ჭანტურიას 48 223-მა კაცმა მისცა ხმა, 2012-ში ქდმ-ს, მთელ პარტიას, საქართველოს მასშტაბით, სულ 43 805 კაცი მისცა ხმა, თბილისში კი მხოლოდ — 9 866-მა კაცმა, ანუ მარტო თბილისში, 2 წელიწადში, ლამის 40-ათასიანი ელექტორატი დაკარგა და ახლა რისი იმედი აქვს? თუ მოქმედებს პრინციპით მთავარია მონაწილეობა, ეს გასაკვირი სულაც არაა — ზოგი პოლიტიკოსი უფასო პოლიტიკურ რეკლამას ხარბდება, ზოგი ტელევიზორში გამოჩენას, უბრალოდ, ეს თარგამაძისგანაა გასაკვირი – ყოველთვის პრაგმატულ სვლებს აკეთებდა, ქვეყანას თუ არა, მას მაინც რომ რგებდა ისეთს და ახლა რა ხდება მის თავს? თუ ასე გააგრძელებს, ეგ მალე ნონა გაფრინდაშვილთან ჭადრაკის თამაშსაც გადაწყვეტს.

გიორგი თარგამაძეს ალღო არასოდეს ღალატობდა. კარიერის აღმართსაც წარმატებით მიუყვებოდა. 14 წლის იყო „თვალსაწიერის” წაყვანა რომ დაიწყო, 1991 წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, იმავე წლიდან „მონიტორი” და „მონიტორ-დაიჯესტი” მიჰყავდა „იბერვიზიაზე”. 1993 წელს გადამწყვეტი ეტაპი იწყება მის კარიერასა და საერთოდ ცხოვრებაში – კოდური სახელწოდებით „ასლანი” – 20 წლის ბიჭი აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტის თავმჯდომარე ხდება, შემდეგ ტელესტუდია „ბათუმის” დირექტორი, 24 წლის კი ასლან აბაშიძის პრეს-მდივნად გვევლინება. ამ წინსვლის პარალელურად, მის ბიოგრაფიაში ერთი უცნაური დეტალია – ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა 1991-დან 1999 წლამდე – მთელი 8 წელიწადი. არ იფიქროთ, ბოლო სამი წელი სამეცნიერო ხარისხს მოანდომა – სადოქტორო 2011 წელს დაიცვა, თანაც ჯავახიშვილში კი არა, ტექნიკურ უნივერსიტეტში. „1991-1999“ — სწორედ ასეა მითითებული მისი პარტიის ოფიციალურ საიტზე. თან არსად წერია, რომ დაუსწრებელზე სწავლობდა. არადა, ძალიან საინტერესოა, რანაირად სწავლობდა თბილისში 1993-99 წლებში თარგამაძე, როცა ამ დროს ბათუმში მუშაობდა და თანაც როცა თბილისში, ჯერ კიდევ სტუდენტად ირიცხებოდა, 1994-1999 წლებში ბათუმში ჟურნალისტიკის საფუძვლებს კითხულობდა – ლექტორობდა. უდიპლომო ლექტორი გახლდათ.

26 წლის გიორგი თარგამაძე პოლიტიკაში მოდის – პარლამენტის დეპუტატი ხდება „აღორძინებიდან“, აქტიურადაც ერთვება პროცესებში, პოპულარობასაც იხვეჭს, მაგრამ კრიზისი 2002 წლის ზაფხულში დგება — მედიაში ჩნდება ცნობები, რომ აბაშიძემ მასზე გული აიყარა. ამ ინფორმაციის გავრცელებას თარგამაძე მტკივნეულად განიცდიდა, უარყოფდა, მერე კი მიატოვა პოლიტიკა და ჟურნალისტიკაში დაბრუნდა – აკეთებდა რეიტინგულ „დროებას“ და იყო „იმედის” საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დირექტორი. ანუ აბაშიძის ნავიდან პირდაპირ ბადრის ნავში ისკუპა. აბაშიძის ნავი მალევე დაეშვა ფსკერისკენ და სწორედ მას შემდეგ ალაპარაკდნენ თარგამაძის შეუდარებელ ყნოსვაზე – ხტება ნავიდან თარგამაძე და მარცხიც არ აყოვნებს. წამოვიდა აბაშიძისგან და აბაშიძის მზეც ჩაესვენა. ამ რაკურსით, შესაძლოა, იგი ვინმემ მიხეილ სააკაშვილსაც შეადაროს, მაგრამ ეს პარალელი არცთუ საფუძვლიანია – აბაშიძე რომ პოლიტიკურ საიქიოში სწორედ გიორგი თარგამაძეს გაეშვა, თარგამაძე იქნებოდა პოლიტიკოსი, ვინც ბატონი დაამარცხა და თავად გაბატონდა, მაგრამ ასლანი სხვამ გაუშვა „იმქვეყნად”, თარგამაძემ, უბრალოდ გამოასწრო (მეტიც – თუ იმდროინდელ კულისებს ვერწმუნებით, რომ არ წამოსულიყო, გამოუშვებდნენ კიდეც). სწორედ ეს განასხვავებს მას მიხეილ სააკაშვილისგან. სააკაშვილმა შევარდნაძე მიაკრწანისა და თავად გახდა პრეზიდენტი. ამდენად, შევარდნაძესთან მის ყოფნას ამ გადასახედიდან სულ სხვა ახსნა ეძლევა, რასაც ვერ ვიტყვით თარგამაძეზე, რომელმაც 2003 წელს ბადრისთან გადაინაცვლა. პატარკაციშვილს დიდად ეიმედებოდა თარგამაძე, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მოგვიანებით, ნონა გაფრინდაშვილმა იგი ღიად დაადანაშაულა ბადრის ღალატში. 2007 წლის 24 დეკემბერს გენპროკურატურამ ფარული ჩანაწერი გაავრცელა, სადაც გელბახიანი ამბობდა, რომ თარგამაძის პოლიტიკაში წასვლა გადაწყვეტილი იყო, რომ მას უნდა ეხელმძღვანელა ბადრის პარტიისთვის. თარგამაძემ სასტიკად იუარა, მე ჟურნალისტობას ვაპირებ, არაა პოლიტიკა ჩემი საქმეო. 2008 წლის 12 იანვარს კი განაცხადა, პოლიტიკაში ვბრუნდებიო. მოკლედ, მას ღრმად სწამს, რომ პოლიტიკაში კალენდარს კი არ უნდა უყურო, კვირაში ცხრა პარასკევი უნდა გქონდეს — რა იცი, რაში დაგჭირდეს.

პოლიტიკაში დაბრუნდა და თუ აქამდე მისი ბატონების ვინაობა ღიად იყო ცნობილი (ასლანი, ბადრი), ახლა მისტიფიკაციის ჟამი დაუდგა – მავანი ამტკიცებდა, რომ მას პარტია ვანო მერაბიშვილმა და გივი თარგამაძემ შეუქმნეს, უფრო სწორედ, შეაქმნევინეს, ოპოზიციური ნიშა რომ აეთვისებინა, მავანი კი იმას, რომ ისევ ძველ ბატონთან — ასლან აბაშიძესთან აქვს ურთიერთობა, რომ 2008 წელს მოსკოვშიც შეხვდა დაფინანსების თაობაზე. თუ თარგამაძე მიხეილის ნავში იჯდა ფარულად, უნდა ჩავთვალოთ, რომ მესამე ნავიდანაც უსკუპია – ამჯერად „პოსლეზე” და თან ქოქოლაც მიუყრია – ალბათ, გახსოვთ მისი განცხადებები ციხის კადრების შემდეგ, საზოგადოდ, საარჩევნოდ. მერე რა, რომ ამჯერად ვეღარ გაუმართლა. ამ 2%-იან მარცხამდე კი მთელი ბატალიები იყო, თარგამაძის პარტია ვიღაცას დანიშნულ ოპოზიციად მიაჩნდა, ვიღაცას კონსტრუქციულად, ეს სადავოა, ერთი რამ კი უდავო – ამ პარტიის ლოგიკა ხშირად იყო შვებულებაში. ერთი მხრივ, ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანაში არაა დემოკრატია, მეორე მხრივ კი გაუთავებლად იმას გვაყვედრიდნენ, რომ სწორედ მათი ზეწოლით წაუმატა თუმანი პენსიას სააკაშვილმა, მათი ზეწოლით განხორციელდა ესა თუ ის. თუ მართლა მათი ზეწოლით განხორციელდა ყველა ეს სიკეთე, ამით მხოლოდ ის დასტურდებოდა, რომ ქვეყანაში ნორმალური, დემოკრატიული პროცესი მიმდინარეობდა, თორემ რომელი დესპოტი და ტირანი გააკეთებს რამეს ერთი მუჭა ოპოზიციის ზეწოლით? ან რომელი ბაყბაყდევი თარგამაძე იყო და რომელი „მაკბეტავსკი ვედმა” მაგდა ანიკაშვილი, რომ სააკაშვილის ხელისუფლება შეეშინებინათ? რატომ ვერ აგრძელებს თარგამაძე პოლიტიკურ კარიერას ისევე წარმატებით, როგორც დაიწყო? ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისაა, რომ სათანადოდ არ აფასებს განვლილს. იგივე აბაშიძესთან ურთიერთობას ვგულისხმობ და მისი კარიერის „აღორძინების” ხანას. თუ განვლილ გზას ადეკვატურად არ შეაფასებ, არ „გადაანალიზებ”, როგორც ივანიშვილი იტყოდა, მომავლის გზები დაგეხლართება. როგორ შეაფასა თარგამაძემ „აღორძინების” ხანა?

გიორგი თარგამაძე: „ვთვლი, რომ აბაშიძის მმართველობის პირველი ეტაპი იყო პოზიტიური აჭარისა და მთელი საქართველოსთვის, რადგან, უპირველეს ყოვლისა, გადაარჩინა ეს კუთხე ავანტიურისტი კრიმინალების ბოგინს, თუმცა ახალ პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა სრულიად არაადეკვატური თავის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, როგორც პრესმდივანი, ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ჟურნალისტებს მასთან ურთიერთობის რაც შეიძლება მცირე ბარიერი ჰქონოდათ, ხოლო პარლამენტში „აღორძინებამ“ შეასრულა გადამწყვეტი როლი შევარდნაძის რეჟიმის დასუსტებაში“. თუ თარგამაძეს ასე სჯერა – სწორედაც რომ სამწუხაროა და თუ არ სჯერა და ჩვენ გვეუბნება, თვალთმაქცობს და ესეც სამწუხაროა, თორემ რა იყო პოზიტიური? საბავშვო ოპერის გახსნა? კრიმინალების ბოგინს გადაარჩინაო, რომ ამბობს, განა არ იცის, რატომაც არ აბოგინა? ის ბანდები სხვისი იყო, აჭარა კი თავისად მიაჩნდა, იმდენად თავისად, რომ საფრთხესაც უქმნიდა ისედაც დარღვეულ ტერიტორიულ მთლიანობას. „აღორძინების“ გადამწყვეტი როლი შევარდნაძის დასუსტებაში, ალბათ, ავტობუსებით ხალხის გზავნა იყო შევარდნაძისთვის. მერე რა, რომ ამ დროისთვის, თარგამაძე იქ აღარ იყო, ეს ხომ დიდი ხნის წინ დაწყებული ფარული შეთამაშების აფიშირება იყო...

რაში მდგომარეობს თარგამაძის ფაქტორის ძირითადი არსი? მას იმდენად სწადია ბატონკაცობა, რომ მზადაა, იყოლიოს, აიტანოს ბატონი. რაც შეიძლება შეძლებული და გავლენიანი. ამას სხვებიც ბევრნი ცდილობენ, მაგრამ რატომღაც მისი მზაობა ყოველთვის პროდუქტიული იყო, სხვათაგან განსხვავებით. ასე იყო აქამდე, მაგრამ ახლა? ბიძინას ნავში სხვები არიან. ახლა თავად აპირებს ბატონკაცობას და უხვ დაპირებებსაც იძლევა.

„რუსეთმა საქართველო არ უნდა ჩათვალოს მხარედ, რომელთანაც ყველაფერი გაუვა“

რა შედეგს მოუტანს საქართველოს რუსეთის მაღალჩინოსნებთან მოსალოდნელი შეხვედრები და რას ურჩევს მთავრობას რამაზ საყვარელიძე

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემაზე რუსეთთან მაღალი დონის შეხვედრებს არ გამორიცხავს. საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ერთ თვეში გაიმართება ჟენევის მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი, რომელსაც უნდა დაველოდოთ; მით უმეტეს, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში ქართულმა მხარემ ძალისხმევა არ დაიშურა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიეპყრო ოკუპირებული ტერიტორიებისადმი: „მანამდე, ასევე ძალიან ბევრი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი, სადაც მთავარი თემა იქნება სწორედ ეს საკითხი. თუ ჟენევის მოლაპარაკებები ისევ არ გვაჩვენებს პროგრესს, მთავრობა ალტერნატიულ გზებს გამონახავს, ვითარების შესაცვლელად. ვფიქრობ, ჟენევის შემდეგ მეტის თქმას შევძლებ“. კითხვაზე — ხომ არ გამორიცხავს მაღალი დონის შეხვედრებს რუსეთის წარმომადგენლებთან, ფანჯიკიძე ამგვარად პასუხობს: „საერთოდ, არაფერს გამოვრიცხავ, რაც სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის“. რა შედეგი შეიძლება მოუტანოს საქართველოს ასეთმა შეხვედრამ, თუკი იგი საერთოდ შედგა? — ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად „ვერსია“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრება.

— ბატონო რამაზ, რა შედეგს მოუტანს რუსულ მხარესთან შესაძლო მაღალი დონის შეხვედრები?

— დავიწყოთ იმით, რომ აბაშიძე-კარასინის დიალოგმა, რაღაც შედეგი დადო. ჟენევის ფორმატიც გარკვეული ნაბიჯების მაპროვოცირებელია. ბუნებრივია, მაღალი დონის შეხვედრები მეტს მოიტანს, ოღონდ ეს უფრო ქმედით დიპლომატიურ ფრონტს მოითხოვს. ასე რომ, თუ ასეთი ტიპის კონტაქტები შედგება, ქართული მხარე ძალიან მომზადებული უნდა იყოს — რთული დიპლომატიური ბრძოლა მოგვიწევს.

— როგორ მუშაობს ამ მიმართულებით ქართული დიპლომატიური ფრონტი?

— მიუხედავად იმისა, რომ ნაცმოძრაობა ამ მიმართულებით მთავრობას ხშირად აკრიტიკებს, დადებითის გარდა, ვერაფერს ვხედავ. ვნახეთ რეაგირება მოვლენებზე, რაც უდავოდ, დიპლომატიური უწყების მუშაობის შედეგია. ვნახეთ განწყობის გარკვეული ცვლილებები მას შემდეგ, რაც ჩვენგან კოჰაბიტაციას მაქსიმალური მნიშვნელობით ითხოვდნენ... ასე რომ, ქართული დიპლომატიური მისია შედეგიანად მუშაობს, ოღონდ ვიმეორებ, მეგობრებთან ურთიერთობა უფრო იოლია, მეტოქეებთან დიალოგი კი — გაცილებით რთული. თუ მაღალ დონეზე შედგა რუსულ მხარესთან შეხვედრა, ეს რთული ამოცანა იქნება ყველასთვის, მით უმეტეს, საგარეო უწყებისთვის.

— ამ კონტექსტში, პარლამენტის თავმჯდომარემ პარტნიორ ევროპელებს გააქტიურებისკენ ღიად მოუწოდა და ამით მათ პასიურობაზე მიანიშნა. მოსალოდნელია თუ არა მათი გააქტიურება?

— ევროპელების აქტიურობა ძალიან ადვილად გასაშიფრი ცნებაა და მის ქვეშ შეიძლება ბევრი რამ ვიგულისხმოთ, პოლიტიკური განცხადებებიდან დაწყებული, პრაქტიკული ნაბიჯებით დასრულებული. ხშირად ვსაყვედურობთ დასავლეთს სწორედ იმას, რომ პოლიტიკური განცხადებით, შეშფოთება-აღშფოთებით შემოიფარგლება და პრაქტიკული ნაბიჯები იშვიათია, მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესია. ბევრი პოლიტიკოსის შეფასებაა, რომ საქართველოს და კიდევ ბევრი სხვა ქვეყნის (სირია, ირანი...) გამო დაპირისპირებული დიდი სახელმწიფოები ერთმანეთთან ომს არ დაიწყებენ — სიტყვიერი და პოლიტიკური „ომი“, ნამდვილ დაპირისპირებაში არ გადავა. პრაქტიკული გააქტიურების მოლოდინი არავის უნდა ჰქონდეს და ამას არც გამოცდილი პოლიტიკოსი დავით უსუფაშვილი გულისხმობს. უბრალოდ, პოლიტიკური დაპირისპირების ფრონტზე მეტი აქტიურობა უფრო სასურველია საქართველოსთვის — როცა მსოფლიო რეაგირებს, ამას ჩვენი ქვეყნისთვის შედეგი მოაქვს და, მეტ-ნაკლებად, რუსული ნაბიჯები უფრო ფრთხილი ხდება. ეს მოთხოვნა იყო ამოსაკითხი უსუფაშვილის ფრაზაში და არა ის, რომ დასავლეთმა სანქციები მიიღოს რუსეთის წინააღმდეგ. ომს აღარ ვგულისხმობ, ეკონომიკურ სანქციებზეც კი არ მიდის საუბარი. ასეთი მოლოდინი არც უნდა გვქონდეს, თუმცა სასურველი იქნებოდა.

— რუსეთის მიერ „აგვისტოს გმირი მეჩირაღდნის“ გაპირებაზე საქართველოს რა რეაქცია და პოზიცია უნდა ჰქონდეს?

— ამ საკითხმა ბუნებრივად წამოიწია, როგორც პოლიტიკურმა გამოწვევამ. იმის მიუხედავად, რუსეთს შეუძლია ბევრ ფრაზას ამოეფაროს და თქვას, ეს რა შუაშიაო, ამ ნაბიჯით მინიმუმ, უტაქტო სვლა გააკეთა და, სავარაუდოდ, მათთვის ტაქტის თემა არც წამოჭრილა, უბრალოდ ამით საქართველოს მიმართ თავისი დამოკიდებულების დემონსტრირება მოახდინა, რასაც ამყარებს პარალელურად ე.წ. საზღვრებზე მავთულხლართების დამონტაჟების პროცესი. ეს ერთი და იგივე დამოკიდებულების ორი გამოვლინებაა.

ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო დონეზე პროტესტია გამოსახატი, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობამ და რუსეთმაც, საქართველო არ ჩათვალოს მხარედ, რომელთანაც აბსოლუტურად ყველაფერი გაუვა.

მარჯანიშვილის ქუჩაზე, 17 წლის ახალგაზრდა, ფულის გამოძალვის მიზნით დაჭრეს

10 ოქტომბერს, მარჯანიშვილის ქუჩაზე, 17 წლის ახალგაზრდა დაჭრეს. თვითმხილველების თქმით, შელაპარაკება ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა. ახალგაზრდა, მეგობრებთან ერთად, მიუსაფარი ბავშვებისთვის შესაწირს აგროვებდა. თვითმხილველების ინფორმაციით, ახალგაზრდა მუცლის არეში იყო დაჭრილი. დამნაშავე პირები პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიულად დააკავეს. გამოძიება მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის ნინო გიორგობიანის ინფორმაციით, მოზარდს ჭრილობა ცივი იარაღით აქვს მიყენებული, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„ვერსიანიუსი“

საპატიმროებში მსჯავრდებულების კლასიფიკაცია იწყება

როგორ აპირებს სუბარის უწყება „მაყურებლის ინსტიტუტის“ წინააღმდეგ ბრძოლას

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ ღურწკაია აცხადებს, რომ მალე საპატიმროებში მსჯავრდებულების კლასიფიკაცია მოხდება. მისი ინფორმაციით, პატიმრების განთავსების საკითხი მათი ქცევისა და ცხოვრების წესის მიხედვით განისაზღვრება. მსჯავრდებულების ნაწილი ნახევრად ღია დაწესებულებაში განთავსდება, სადაც საგანმანათლებლო სკოლა და პროფესიული სასწავლებელი იქნება, დასაქმდებიან, გრძელი და მოკლევადიანი პაემნებისთვის საუკეთესო პირობები ექნებათ. ამ პრივილეგიით, შესაძლოა, მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულმაც ისარგებლოს, თუკი ცხოვრების წესით დაიმსახურებს. ასეთი მსჯავრდებულები რუსთავის მე-16 დაწესებულებაში განთავსდებიან. ყველაზე მკაცრი ლაითურის ციხე იქნება, სადაც დახურული სისტემაა. იქ მოხვედრილ პატიმრებს გრძელვადიანი პაემნების უფლება არ ექნებათ. მაღალი რისკის პატიმრები ცალ-ცალკე საკნებში განთავსდებიან და მათ ხმას მეორე საკანში მყოფი ვერ გაიგებს. ასევე იქნება ცალკე დაწესებულება საშუალო რისკის პატიმრებისთვის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, ე.წ. მაყურებლის ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმი მალე ამოქმედდება და მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის შემდეგ, ისინი უმკაცრეს რეჟიმში იქნებიან. ამასთან, ფსიქიკურად დაავადებულები რუსთავში, ამჟამინდელ ქალთა დაწესებულებაში მოთავსდებიან. პატიმრებს დეპარტამენტის მულტიდისციპლინური ჯგუფი შეარჩევს, რომლის შემადგენლობაში უსაფრთხოების რეჟიმის თანამშრომელი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ექიმი და სოციალური მუშაკი იქნებიან. ამ ნაბიჯებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, „ვერსია“ არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარეს, ნანა კაკაბაძეს ესაუბრება.

— ქალბატონო ნანა, რა შედეგებს მოიტანს საპატიმროებში მსჯავრდებულების კლასიფიკაცია?

— ეს ევროპული ქვეყნების სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გავრცელებული პრაქტიკაა — პატიმრებს ციხეში ასახლებენ არა ჩადენილი დანაშაულის, არამედ იმის გათვალისწინებით, როგორ იქცევიან ისინი პენიტენციალურ სისტემაში. მსუბუქი დანაშაულით რომ მოხვდეს ციხეში და შიგნით არსებულ წესებს მუდმივად არღვევდეს, შეიძლება უფრო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში განთავსდეს, ხოლო პირი, რომელსაც თუნდაც მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ განაწესს არ არღვევს და კანონს ემორჩილება, შესაძლოა, შედარებით მსუბუქი რეჟიმის საპყრობილეში გადაიყვანონ. ეს პატიმრის ერთგვარი წახალისებაა, იყოს კანონმორჩილი, შიდაგანაწესი არ დაარღვიოს და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არ აღმოჩნდეს.

— ეს ნაბიჯი სისტემაში არსებულ ვითარებას გააუმჯობესებს?

— ცხადია, პატიმარს მოტივაცია ექნება, კანონი და არსებული წესები არ დაარღვიოს. ამით უარს ვამბობთ სისტემის შიშზე, წამებასა და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე დაფუძნებულ მართვაზე. ისეთზე, ახალაიას, ნაციონალების დროს რომ იყო. ჩვენ გვჭირდება წესრიგი, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლიან რეჟიმსა და კანონზე. პატიმარს სხვა რა მოტივაცია უნდა გააჩნდეს, თუ არა ის, კარგად მოიქცეს, რათა შედარებით კარგ პირობებში იყოს. რეალურად, მას ინტერესს ვუჩენთ — უკეთ თუ მოიქცევა, ექნება უფრო მეტი პაემანი, ამანათი, ჰაერზე უფრო ხშირად გავა, შედარებით კომფორტულ დაწესებულებაში იქნება...

— საუბარია ასევე, ე.წ მაყურებლების ინსტიტუტის წინააღმდეგ ახალი მექანიზმის ამოქმედებაზე. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის შემდეგ ისინი „უმკაცრეს რეჟიმში“ იქნებიან. ამას რა დატვირთვა ექნება?

— ესეც დასავლური მეთოდია, რომელსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტს წლების წინ ვთავაზობდით. ე.წ. ქურდული, კრიმინალური მენტალიტეტის პატიმრებს, რომლებიც გარკვეული ტრადიციებისა თუ მრწამსის დაცვას ცდილობენ, ადმინისტრაციამ უნდა შესთავაზოს: კი, ბატონო, გქონდეს ეგ შენი პრინციპები, მრწამსი (იცით, რომ მრწამსის გამო ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს), მაგრამ ასეთი ადამიანებისთვის უფრო მკაცრი წესის ციხე არსებობს; არ გინდა, ფორმა გეცვას, იმუშაო და ასეთ რეჟიმში იყო? მაშინ იყავი დახურული რეჟიმის დაწესებულებაში, სადაც პაემნები, ამანათები შეზღუდულია და უფრო მკაცრი რეჟიმია.

— ეს მეთოდი სასჯელაღსრულების სისტემაში ე.წ მაყურებლების ინსტიტუტს მოსპობს?

— ეს ერთადერთი ფორმაა, რომლითაც დასავლეთში ამ პრობლემის აღმოფხვრა ხდება — სხვა გზა არ არის. ვისაც განსაკუთრებით დიდი სასჯელი აქვს, ნებაყოფლობით ამბობს უარს ამ ე.ნ. პრინციპებზე, რადგან სხვა ციხეებში არსებული უკეთესი პირობები ურჩევნია უმკაცრეს პირობებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია მოსამართლეთა საგამოცდო ვადით დანიშვნაზე

გასულ კვირას პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და კანონის ფორმა მისცა კონსტიტუციაში არსებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეები სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ შეირჩევიან და უვადოდ დიანიშნებიან. სასამართლო ხელისუფლება და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია საკანონმდებლო ორგანოს კონსულტაციების გაგრძელებას და გადაწყვეტილების მიღების აპრილამდე გადადებას სთხოვდა, თუმცა პარლამენტარებმა არ გაითვალისწინეს არასამთავრობო სექტორის წინადადება. მოსამართლეთა თანამდებობაზე სამი წლით გამწესებას ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებიც ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი ურჩევდნენ ხელისუფლებას არ მიეღოთ მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა საგამოცდი ვადით დანიშვნის თაობაზე კონსტიტუციაში გაკეთებულს ჩანაწერს წინა მოწვევის პარლამენტის უმრავლესობამ "ნაციონალურმა მოძრაობამ" დაუჭირა მხარი და მისი მიღების ინიციატორიც "ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლება იყო. გთავაზობთ, ამონარიდებს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნიდან, რომლებიც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საკითხს ეხება, კონკრეტულად კი, მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას.

ვენეციის კომისიის დასკვნა

ვენეციის კომისიის საკონსულტაციო დასკვნა N543/2009 საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე 2010 წლის 31 ივლისსაა გაკეთებული და მასში ნათქვამია, რომ:

"გამოსაცდელი ვადის დაწესებამ შესაძლოა, ძირი გამოუთხაროს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, რადგანაც მათ შეიძლება თავი იგრძნონ ვალდებულად, გამოიტანონ გადაწყვეტილება კონკრეტული ძალის სასარგებლოდ. ეს არ ნიშნავს, რომ კომისია აბსოლუტურად გამორიცხავს მოსამართლეთა დროებითი დანიშვნის არსებობას. ახალი დემოკრატიის ტიპის რიგ ქვეყნებში შესაძლოა საჭირო იყოს, თავდაპირველად დარწმუნდნენ, რამდენად შეუძლია კონკრეტულ პირს სამუდამოდ დაიკავოს მოსამართლის პოზიცია.

თუ გარდაუვალია მოსამართლეთა დროებითი დანიშვნის პროცედურის ამოქმედება, დროებით დანიშნულ მოსამართლეს სამუდამოდ გადანიშვნაზე უარი უნდა ეთქვას მხოლოდ გამჭვირვალე პროცესის პირობებში, იმავე პროცედურული გარანტიებით, რაც დანიშნული მოსამართლის გათავისუფლებისთვის არის დადგენილი კანონმდებლობით. როდესაც სასწორის ერთ მხარეს დევს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, ხოლო მეორეზე - ხარისხიანი, ეფექტიანი სამართალწარმოება, უპირატესობა აუცილებლად პირველს უნდა მიენიჭოს".

ვენეციის კომისიამ 2005 წელს მსგავს საკითხზე გააკეთა საკონსულტაციო დასკვნა 355/2005 მაკედონიასთან მიმართებაში.

საქმე ისაა, რომ მაკედონიამ კონსტიტუციაში მიუთითა ნორმა, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე მოხდებოდა მათი 3 წლით დანიშვნა. აღნიშნული ნორმა გააკრიტიკა ვენეციის კომისიამ და გამოსაცდელი ვადის არსებობა მიიჩნია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საფრთხედ. "მოსამართლეებმა ასეთ დროს შესაძლოა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რაც მათ უვადოდ დანიშვნას გარანტირებულს გახდის, თუნდაც კანონის გვერდის ავლით," - ნათქვამია დასკვნაში.

ევროკავშირის განცხადება

"წინსვლა იქნა მიღწეული სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ახალი კონსტიტუცია მოსამართლეების უვადო დანიშვნას ითვალისწინებს. თუმცა, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია და სამოქალაქო საზოგადოება გამოთქვამდა წუხილს მოსამართლეების დანიშვნამდე არსებული ხანგრძლივი გამოსაცდელი ვადის გამო. გამოსაცდელი ვადის პერიოდში მოსამართლეები მეტად შეიძლება დაემორჩილონ პოლიტიკურ გავლენას." **(ევროკომისია - ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2010 წლის განმავლობაში: ანგარიში საქართველოს შესახებ.)**

თომას ჰამერბერგის ანგარიში

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი **თომას ჰამერბერგი** 2011 წლის 30 ივნისს სტრასბურგში ანგარიშით გამოვიდა, რომლის თემაც გახლდათ "მართლმსაჯულების განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს სამართლებლივ სისტემაში", მან თავის ანგარიშში ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ შესწორებაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი სასამართლოს დამოუკიდებლობის სამართლებრივ გარანტიებს ადგენს. 2010 წლის საკონსტიტუციო შესწორების საფუძველზე მოსამართლეების უვადოდ დანიშნვა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ნორმა არ შეეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, რომელთა არჩევა ხდება არანაკლებ ათი წლით. კონსტიტუციის მიხედვით მოსამართლეებმა, მათი უვადოდ დანიშვნამდე, უნდა გაიარონ სამწლიანი გამოსაცდელი ვადა. ევროპის კომისიის "დემოკრატია კანონის საშუალებით" (ვენეციის კომისია) რეკომენდაციის თანახმად, უვადოდ დანიშვის ნორმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზეც უნდა გავრცელდეს, ხოლო მოსამართლეებისთვის გამოსაცდელი ვადის დაწესების ნორმა უნდა გაუქმდეს."

მონრეალის დეკლარაცია და ევროპული ქარტია

მონრეალის 1983 წლის ივნისის საყოველთაო დეკლარაცია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის თაობაზე აცხადებს, რომ მოსამართლეთა დანიშვნა დროებით ან გამოსაცდელი ვადით, შეუსაბამოა მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან. შესაბამისად, ამგვარი ნორმები ამოღებულ უნდა იქნან კანონმდებლობიდან.

მოსამართლეთა სტატუტის შესახებ 1998 წლის ევროპული ქარტია აცხადებს, "აშკარაა, რომ გამოსაცდელი ვადის არსებობა სირთულეებს და, რიგ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას."

კოალიცია "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" რეკომენდაციები

კოალიცია "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" 2013 წლის რეკომენდაციებში, რომელიც სასამართლოს სტრატეგიის განახლებას ეხება ნათქვამია, რომ: "კოალიცია განსაკუთრებულ ყურადღებას გამოხატავს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის მოდელზე გადასვლასა და პროცედურებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ცვლილების გავლენაზე იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც უკვე ახორციელებენ მოსამართლის უფლებამოსილებას. რაც შეეხება იმ კონსტიტუციურ ნორმას, რომელიც მოსამართლის უვადოდ დანიშვნამდე მის 3 წლამდე ვადით გამწესების შესაძლებლობას გულისხმობს, კოალიციას არსებული რისკების გათვალისწინებით, არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამ ტიპის მექანიზმის არსებობა."

სასამართლოს უარი პროკურატურის შუამდგომლობებზე

თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულის - დ. ქ-ს მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით, საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ განიხილა შუამდგომლობების დასაბუთებულობა და კანონიერება და შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმებების დამტკიცებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

დ. ქ-ს ბრალდება წარდგენილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი პირველი ნაწილით. "სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია". სასამართლო სხდომაზე პროკურორმა იშუამდგომლა ბრალდებულ დავით ქსოვრელიშვილთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, იმის თაობაზე, რომ იგი ცნობილი იქნას დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ბრალდებულმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, სასამართლო პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს. აღნიშნული მუხლის მოთხოვნის შესაბამისად შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ მხარეებს შეთავაზა საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლა და შეთანხმებაში 2012 წლის 28 დეკემბრის "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის 16-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის ასახვა, რაზეც ბრალდების მხარემ განაცხადა უარი იმ მოტივით, რომ წარდგენილი ბრალი არის სამოხელეო დანაშაული და ამნისტიის შესახებ კანონი კი არ ვრცელდება სამოხელეო კატეგორიის დანაშაულებებზე, რასაც დაეთანხმა დაცვის მხარეც. საქმის განხილვისას ბრალდების პოზიციას მხარი დაუჭირა ბრალდებულმა და მისმა დამცველმა და ითხოვეს საპროცესო შეთანხმების წარმოდგენილი პირობებით დამტკიცება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორის შუამდგომლობა, ბრალდებულ დ. ქ-ს მისი დამცველის და პროკურორ შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო და სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნდა გამოძიებას.

თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულის - ა. შ-ს მიმართ აღკვეთ ღონისძიებად გირაოს გამოყენების თაობაზე. სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური ისე ფაქტობრივი საფუძვლები და პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, კერძოდ: ბრალდებულ ა. შ-ს მიმართ არ იქნა გამოყენებული არც ერთი სახის აღკვეთის ღონისძიება.

ა. შ-ს ბრალდება წარდგენილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. "ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოცდან ას ოთხმოცდ საათამდე ანდა გამასწორებელ სამუშაოს ვადით თხუთმეტ თვემდე".

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული არანაირი სახის აღკვეთის ღონისძიება, იმ მოტივით, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-200-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული დადგენილ ვადაში არ უზრუნველყოფს გირაოს თანხის სრული მოცულობით შეტანას, მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება შეიძლება შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ანუ პატიმრობით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კი იმ დანაშაულისათვის, რაც არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას არათუ დაპატიმრება, დაკავებაც არ შეიძლება. გირაოს გადაუხდელობით ბრალდებული ა. შ. პატიმარი გახდებოდა დანაშაულისათვის, რაც სასჯელის სახით არ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ა. შ-ს მიმართ არ გამოიყენა არც ერთი სახის აღკვეთის ღონისძიება.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

„მოვითხოვთ, მეტროში პროფესიონალები დაებრუნონ!“

რატომ დაითხოვეს მეტროპოლიტენიდან ექვსასზე მეტი სპეციალისტი და ნაციონალების რა გეგმას აპროტესტებენ ორგანიზაციის თანამშრომლები

ბათუმის მუშათა გამაჯანსაღებელი კორპუსი, რომელიც მერიამ მეტროს გაუყიდა

დავით დევიძე
593-219-042

„ვერსიის“ №102 (858) დაიბეჭდა სტატია „ნაციონალური ნაღმები მეტროს გვირაბებში; როგორ აქცია უგულავამ მეტროპოლიტენი სახიფათო ტრანსპორტად და რომელი ობიექტების გაყიდვას აპირებს მერია“, რის შემდეგაც, მეტროში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულომ მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას სრული ანგარიშის წარდგენა მოსთხოვა. 8 ოქტომბერს, საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელზეც სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელ ლევან კოპლატაძეს საკმაოდ მწვავე კითხვებზე მოუხდა პასუხების გაცემა. კოპლატაძემ ბრალდებები უარყო და აღნიშნა, რომ მეტროს გვირაბებში მარმარილოს ფილები არ ჩამოუხსნიათ და ზოგადად, მეტროთი მგზავრობა უსაფრთხოა. კოპლატაძე საკრებულოს იმასაც დაპირდა, რომ უახლოეს მომავალში, მათთვის და ჟურნალისტებისთვის მეტროპოლიტენის სადგურებში, შემოწმების მიზნით, სპეციალური ტური მოეწყობა. კოპლატაძე ბრალდებებს უარყობს, მეტროპოლიტენის თანამშრომლები კი, მის წინააღმდეგ ახალ-ახალ ბრალდებებს ახმოვანებენ — „ვერსიას“ მეტროპოლიტენის თანამშრომლები დაუკავშირდნენ და საინტერესო ინფორმაცია მიაწოდეს, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ვინაობის გამხელა არ ისურვეს:

— პლასტიკატების გაკვრა და ანტისანიტარია მხოლოდ ზღვაში წვეთია და როგორც თქვენ სტატიაში ეწერა, მეტროს გვირაბები მართლაც კიდევ ბევრ საიდუმლოს მალავს. კოპლატაძე უარყოფს ყველაფერს, მაგრამ სადგურებზე აკრული პლასტიკატები მგზავრებს ხომ არ ელანდებათ? ბათუმის მუშათა გამაჯანსაღებელი სახლის ფოტო მოგიტანეთ. ეს შენობა ჩუმად გაუყიდეს მეტროს და მერე დაანგრიეს. ესეც მოლანდებაა? არც „ოცნების“ წევრი ვარ, არც ნაციონალური მოძრაობის. ერთადერთი ინტერესი მამოძრავებს — მეტროს კეთილდღეობა. ჩვენთან, მხოლოდ 2006 წლამდე მუშაობდა პროფესიონალი კადრი. არადა, სწორედ პროფესიონალების დამსახურება იყო, ათწლეულების განმავლობაში კატასტროფულ დარღვევას ადგილი რომ არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, არსებობდა საშიშროება, მეტრო საერთოდ გაჩერებულიყო.

— 90-იან წლებში შექმნილ პრობლემებს გულისხმობთ?

— დიახ, წლების განმავლობაში, ელექტროენერგია ყოველდღიურად ითიშებოდა, მატარებლები საათობით იდგა გვირაბებში და მგზავრების ევაკუაცია გვიწევდა. რომ არა თანამშრომლის პროფესიონალიზმი, მეტროს ვერ შევინარჩუნებდით. 2006 წლიდან კი, ჩვენთან ახალი ეპოქა დაიწყო. ნაციონალებმა მთლიანად შეცვალეს ხელმძღვანელები. მეტროპოლიტენის უფროსად მოიყვანეს პოლიციელი ალექსანდრე ახვლედიანი, ხოლო პირველ მოადგილედ დაუნიშნეს რობერტ დედანაშვილი. ეს უკანასკნელი სპეციალისტი კი იყო, მაგრამ იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ ქრთამის აღების გამო დაიჭირეს. ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა გორის რაიკომის პარტიის ინსტრუქტორი გოგი სადაღაშვილი. ერთი წლის შემდეგ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მოიყვანეს მანქანა-ტრაქტორების სპეციალისტი ზურაბ კიკალეიშვილი. მანაც თავისი გუნდი დაასაქმა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამ გუნდმა კი ერთდროულად გაყარა სამსახურიდან 200 ადამიანი. შემდეგ დაიწყო უგულავას ხანა. მეტროპოლიტენს წილად ხვდა ბედნიერება, გენდირექტორად ჰყოლოდა უგულავას ძმადნაფიცი და ამფსონი დავით ალავიძე. პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ უკლებლივ ყველა თანამშრომელი დააზღვია „იმედი L“-ში, კომპანიაში, სადაც მანამდე თავად მოღვაწეობდა. ალავიძემაც ბევრი პროფესიონალი გაუშვა სამსახურიდან. რაც შეეხება ლევან კოპლატაძეს და მის ხელმძღვანელ კადრებს, ზედა რგოლში თითქმის ყველა კომპეტენტური პირი დაითხოვეს და ისინი არაპროფესიონალი კადრებით ჩაანაცვლეს. საბოლოოდ, ნაციონალებმა ექვსას სპეციალისტამდე გაუშვეს სამსახურიდან.

— ქვედა რგოლებშიც ანალოგიური ვითარებაა?

— აქაც მიიღეს გაურკვეველი განათლების მქონე ახლობლები, ნათესავები. მათი ერთადერთი დამსახურება ისაა, რომ უგულავას კლანის წევრები არიან. აქ ნაციონალური მოძრაობა ფართოდაა წარმოდგენილი და მიტინგებზეც ხალხის სოლიდური ნაწილი სწორედ აქედან გამოჰყავთ. ბევრს უკვირს, მაინც როგორ დარჩათ ამდენი მომხრეო... როგორ და ასე, დასაქმებული ჰყავთ, კარგად უხდიან. მეტროპოლიტენი ნაცაქტივისტების ფინანსური კეთილდღეობის საწინდრად იქცა.

— რას გულისხმობთ „ფინანსურ კეთილდღეობაში“, მხოლოდ მაღალ ხელფასებს თუ სხვა მეთოდებიც აქვთ შემუშავებული?

— მეთოდები აქვთ: 2006 წლიდან ხელფასები სამჯერ გაზარდეს. მეტროს ხელმძღვანელებს კი, მგონი, ექვსჯერ მოუმატეს ანაზღაურება. საბოლოოდ, თითქმის ხუთჯერ მეტი აქვთ ხელფასი მუშებთან შედარებით. შარშან, მეტროპოლიტენისთვის გამოყოფილი საპრემიო ფონდი შეადგენდა 600 000 ლარს. აქედან 500 000 თვითონ გაინაწილეს, 100 ათასი კი დანარჩენ პერსონალს — მთელ მუშათა კოლექტივს „დიდსულოვნად“ დაუთმეს. თან „ყაირათიანობაც“ გამოამჟღავნეს: ორ-სამ ლარიან ცოცხს ყიდულობენ ათ ლარად, 18-ლარიან ელექტროლუმელს — 60-70-ად... ამ პრინციპითაა შეძენილი ყველანაირი იაფი და უვარგისი საქონელი. ანუ კარგად აქვთ დამუშავებული „ატკატების“ სისტემა. ამიტომ ამოიღეს საწყობიდან გაცემულ ზედნადებებში საქონლის ფასების გრაფა — ჩვენ რომ ვერ შევიტყოთ, რა ფასადაა შეძენილი ესა თუ ის ნივთი. ცალკე საუბრის თემაა შეძენილი ნივთების ხარისხი, რადგან ზოგ შემთხვევაში საეჭვო ტენდერებში „გამარჯვებულ“ ფირმებსაც უხარისხო პროდუქცია შემოაქვთ. მაგალითად: ამ ბოლო დროს მუშები უჩივიან საპოხი მასალების ხარისხს. ასევე უხარისხოა შპალები, ქუთაისის ქარხნიდან მიღებული რეზინის ნაწარმი და კიდევ ბევრი საქონელი. რაც საბოლოოდ, ზრდის რისკებს მეტროპოლიტენის ნორმალური და უსაფრთხო ფუნქციონირების თვალსაზრისით. მეტროს ხელმძღვანელობა ცდილობდა ეჩვენებინა, თითქოს „ქამრების შემოჭერის“ ინიციატივაში აუბეს მხარი სააკაშვილს. მომჭირნეობა კი, იცით, რით გამოხატეს? **2006 წელს გააუქმეს სახელფასო დანამატი მავნე და მძიმე პირობებში მუშაობაზე და წელთა ნამსახურეობაზე; ასევე მოხსნეს ღამის საათების ანაზღაურებაც. გააუქმეს მემანქანეთა კლასები და მუშათა თანრიგები... ამ ყველაფრის მიზანი იყო, რაც შეიძლება ნაკლები ხელფასი გადაეხადათ ჩვენთვის. ბოლო დროს ვითომ მდგომარეობა გამოასწორეს. მავნე პირობებში სამუშაოზე დაუმატეს 50 ლარი, მძიმეზე კი — 70 ლარი, მაგრამ ამასაც გვამადლიან. თავიანთი კაბინეტების რემონტში ათასობით ლარს იხდიან, მუშების გასახდელებისა და სანიტარული კვანძების წესრიგში მოყვანა კი, ახლა დაიწყეს.** ეს კლანი ცდილობს „ნაციონალურ სტილში“ იმოქმედოს და სხვადასხვა პოლიტიკურ სპექტრში ეძებს ახალ მფარველს — მათ სურთ, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა შეინარჩუნონ კიდევ დიდხანს და თუ ეს ვერ მოხერხდება, კლანის სხვა წევრებს მაინც დარჩეს ყველაფერი. ამას არ დავუშვებთ, შესაბამის ზომებს მივიღებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ და მოვითხოვთ, მეტროში პროფესიონალი და გამოცდილი კადრების დაბრუნებას.

პრეზენტაცია

მარჯანიშვილის ქუჩაზე განსხვავებული Mcdonald's გაიხსნა

მაღე ახალი რესტორნები სანზონას, გლდანს, ნახალოვკას, ასევე მარნეულსაც შეემატება

მარჯანიშვილის ქუჩაზე სრულიად განსხვავებული „მაკდონალდსი“ გაიხსნა ულამაზესი ექსტერიერ-ინტერიერით, ტრადიციულად, მომღიმარი მომსახურე პერსონალითა და უგემრიელესი მენიუთი. რესტორნების წამყვანი გლობალური ქსელის ახალი ობიექტი გახსნისთანავე გაივსო ხალხით, თუმცა მარჯანიშვილის განახლებული „მაკდონალდსის“ პირველი, ყველაზე საპატიო სტუმრები, გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები იყვნენ — „მაკდონალდსის“ ხელმძღვანელობამ ისინი ობიექტის გახსნაზე საგანგებოდ მიიწვია და სპეციალურად მათთვის მომზადებული გასართობი პროგრამითა და გემრიელი კერძებითაც გაუმასპინძლდა.

გახსნის დღეს, „მარჯანიშვილის მაკდონალდსმა“ ჟურნალისტებსაც უმასპინძლა — „მაკდონალდსის“ პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ და გენერალურმა დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ მედიის წარმომადგენლებს ობიექტის რემოდელინგის პროცესის შესახებაც მიაწოდეს ინფორმაცია და სამომავლო გეგმებიც გაუმხილეს.

„მაქსიმალურად ვზრუნავთ მომხმარებლის კმაყოფილებაზე. მიმაჩნია, რომ ამისთვის, ხარისხიანი პროდუქციის გარდა, კომფორტული გარემო, მაღალი ხარისხის ინვენტარი, დახვეწილი დიზაინი, სიმყუდროვე და სიახლეცაა საჭირო. სწორედ ამიტომ მოვახდინეთ საზოგადოებისთვის ისედაც საყვარელი, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე „მაკდონალდსის“ რემოდელინგი, რომელიც 2 მილიონ ლარზე მეტი დაჯდა. პროცესი წარმატებით დასრულდა. ტრადიციულად, არც სოციალური პასუხისმგებლობა გვავიწყდება და გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების სტუმრობა, სწორედ ამის დასტურია“, — განაცხადა **თენგიზ კაპანაძემ** და ისიც გაგვიმხილა, რომ სამუშაო პროცესს ევროპული კომპანიები ერთობლივად უძღვებოდნენ. პროექტი და ინტერიერის დიზაინი ფრანგულ კომპანია Archange Atelie-ს ეკუთვნის, რესტორანში განახლდა სამზარეულოც, რომელიც აღიჭურვა ახალი დანადგარებითა და გერმანული კომპანია Franke-ს ტექნიკით, რემოდელინგის პროცესს კი ავსტრიული კომპანია Scloffer კურირებდა.

თენგიზ კაპანაძე: „მასთან ერთად პროცესში აქტიურად იყო ჩართული ქართული სამშენებლო კომპანია L&A. მადლობა მინდა გადავუხადო ლაშა და ვახტანგ ხარშილაძეებს, რომლებიც დღედაღამ მუშაობდნენ ობიექტზე. ასევე დიდი მადლობა არქიტექტორ ირაკლი ვაჩეიშვილს, რომელმაც საშუალება მოგვცა, შეგვექმნა სრულიად ახალი კონცეფცია. მარჯანიშვილზე მდებარე „მაკდონალდსს“ დაემატა ტერასა, რომელიც ძალიან კარგ გარემოს ქმნის. იმედია, მომხმარებელი ჩვენთან სტუმრობით ძალიან ისიამოვნებს და კმაყოფილი დარჩება“.

„მაკდონალდსის“ მნიშვნელობასა და სამომავლო გეგმებზე ინფორმაცია მოგვაწოდა, „მაკდონალდსის“ პრეზიდენტმა **თემურ ჭყონიამ. „მსოფლიოში, „მაკდონალდსის“ 30 ათასზე მეტი რესტორანია. საქართველოში არსებული რესტორნები მდიდარი დიზაინით, ადგილმდებარეობითა და დანახარჯით საკმაოდ განსხვავებულია. ყოველწლიურად 20 საუკეთესო რესტორანი სახელდება და ამ სიაში რუსთაველზე მდებარე „მაკდონალდსი“ თითქმის ყოველთვისაა. ნუსხას უკვე დაემატა ბათუმის რესტორანიც, რაც ძალიან სასიხარულოა. რა დატვირთვა აქვს „მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელის განვითარებას ქვეყნისთვის? რა შეიძლება მოუტანოს ამან საქართველოს? — ჩვენ რესტორნებში 7000-მა ახალგაზრდამ მიიღო სამუშაო გამოცდილება, დღეს ჩვენთან 500-ზე მეტი ადამიანი მუშაობს. ქსელის გაზრდის შემდეგ დაახლოებით 2000 ადამიანი იქნება დასაქმებული, მათი საშუალო ასაკი 23 წელია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. „მაკდონალდსის“ რესტორნების სისტემას ქვეყნის ბიუჯეტში უკვე აქვს შეტანილი დაახლოებით 34 მილიონი ლარი. მოვახდინეთ დაახლოებით 19 მილიონი ლარის ინვესტირება, ვგეგმავთ, ქსელი 15 რესტორნამდე გავზარდოთ და ამ შემთხვევაში, ობიექტების საერთო ბრუნვა, 100 მილიონ ლარამდე ავა“,** — განაცხადა ჭყონიამ და ისიც გაგვიმხილა, რომ მაღე, „მაკდონალდსის“ ახალი რესტორნები სანზონაში, გლდანში, ნახალოვკასა და მარნეულშიც გაიხსნება.

ნინო ლურსმანაშვილი

კომპანია „თბილღვინომ“ კახელი გლეხებისგან 6 000 ტონაზე მეტი ყურძენი ჩაიბარა

უპრეცედენტოდ კარგად ორგანიზებული რთველში სახელმწიფო არ ჩარეულა და ამ პროცესს შინაგან საქმეთა ან თავდაცვის მინისტრები არ ხელმძღვანელობდნენ!

როგორ აფასებს რთვლის პროცესს ღვინის მწარმოებელი კომპანია „თბილღვინოს“ აღმასრულებელი დირექტორი და ეკონომიკის ექსპერტი? რატომაა „რთველი — 2013“ უპრეცედენტოდ უხვმოსავლიანი, როგორც ყურძნის რაოდენობის, ასევე პროდუქციის ხარისხის მხრივ? როგორ აფასებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ საინტერესო ინიციატივებს, რის გამოც წლევანდელი რთვლის პროცესში სახელმწიფო საერთოდ არ ჩარეულა?

კომპანია „თბილღვინოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **ზურაბ მარგველაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ კახეთის რეგიონში, კომპანიამ 6 000 ტონაზე მეტი ყურძენი ჩაიბარა. კომპანიას ყვარლის რაიონში საკუთარი ქარხანა აქვს, სადაც გლეხებისგან შეძენილი საფერავი და რქაწითელი გადაამუშავა:

— ბატონო ზურაბ, რა ფასად ჩაიბარეთ გლეხებისგან ყურძენი?

— ზოგადად, სახელმწიფომ ყურძნის ფასის ქვედა ზღვარი დააწესა. კომპანია, რომელიც 1 კილოგრამ რქაწითელსა და კახურ მწვანეში 1 ლარს გადაიხდიდა, სუბსიდიის სახით, სახელმწიფოსგან 40 თეთრს, ხოლო საფერავში — 25 თეთრს მიიღებდა. შესაბამისად, რქაწითელის ფასი არ გაზრდილა, რადგან საკმაოდ დიდი მოსავალი იყო და მისი ფასი 1-დან, 1,20 ლარამდე მერყეობდა. რაც შეეხება საფერავს, რთული ვითარება შეიქმნა, რადგან მისი ფასი 1,80 ლარამდე ავიდა. ეს იმან გამოიწვია, რომ ღვინის კომპანიებს რუსეთის ბაზარზე რეალიზაციის თვალსაზრისით, გადაჭარბებული მოლოდინი აქვთ. ასეთმა მოლოდინმა კი საფერავის ჩაბარების დიდი მოთხოვნა გააჩინა, რის გამოც ამ ჯიშის ყურძნის ფასი გაიზარდა. ეს მეღვინეობის განვითარებისთვის კარგი არ არის, რადგან ყურძნის გაძვირებას პროდუქციის გაძვირებაც მოჰყვება.

— რთვლის პროცესით კმაყოფილი ხართ?

— შეიძლება ითქვას, რომ წელს, რთველი უპრეცედენტოდ კარგად ორგანიზებული იყო. ამას თავისი ახსნა და მიზეზები აქვს. სახელმწიფოს მხრიდან, ვგულისხმობ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „ღვინის ეროვნული სააგენტოს“, კონკრეტული ნება იყო, რათა ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან დაწყებულიყო მსჯელობა, თუ რა პრობლემები არსებობდა წინა წლებში რთვლის პროცესში და რა უნდა გაკეთებულიყო მათ აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, აქტიური თანამშრომლობისა და დიალოგის რეჟიმში, რაც თვეების განმავლობაში გრძელდებოდა, სახელმწიფომ საკმაოდ სწორად შეაფასა ვითარება. მეტიც, სამინისტრომ და „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“ ჩვენს მიერ წარდგენილი არგუმენტები გაიზიარა და ამის საფუძველზე, წინა წლებისგან განსხვავებით, რთველი კახეთის რეგიონში ერთდროულად კი არ დაიწყო, არამედ მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც ყურძენი ბუნებრივად დამწიფდა. იმის თქმა მინდა, რომ ვიდრე ყურძენი ტექნიკურ სიმწიფეში არ შევიდოდა, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეღვინეობისთვის, რათა მაღალი ხარისხი მივიღოთ, რთველი არ იწყებოდა. კიდევ ერთი პრობლემა, რაც წინა წლებში იყო, უკავშირდებოდა შეზღუდვას, რომლის თანახმად, ღვინის კომპანიებს მსხვილი გლეხებისგან ყურძნის შესყიდვის საშუალება არ ჰქონდათ. შესაბამისად, ეს პრობლემაც მოგვარდა და ღვინის კომპანიებს საშუალება მიეცათ, ყურძენი უპრობლემოდ შეეძინათ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია „გრუზვინპრომი“, რომელიც წინა წლებში, ყურძნის შესყიდვის პროცესში, კერძო კომპანიებს კონკურენციას უწევდა, წელს მხოლოდ იმ ყურძენს ყიდულობდა, რომელიც ღვინის კომპანიებისთვის საინტერესო არ იყო. შედეგად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, კონკურენცია ნულამდე დავიდა. წელს სახელმწიფო სუბსიდიის ანაზღაურებაც მოწესრიგდა. ვგულისხმობ თანხის გადახდის პროცედურას. მას შემდეგ, რაც გლეხისგან ყურძენს ჩავიბარებთ, თანხას გადავუხდით და ამის დამადასტურებელ დოკუმენტს „ღვინის ეროვნულ სააგენტოში“ წარვადგენთ, ზუსტად ორ დღეში, სახელმწიფო სუბსიდიის სახით, თანხა ჩვენს ანგარიშზე ირიცხება. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ღონისძიებები, რაც წელს სახელმწიფომ ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის რეალურად განახორციელა. მოგეხსენებათ, რთველი ფინანსურად საკმაოდ ხარჯიანი პროცესია. მოკლე პერიოდში, სამი-ოთხი კვირის განმავლობაში, ყურძნის შესაძენად დიდი რაოდენობით თანხას ვხარჯავთ. სახელმწიფომ ღვინის კომპანიებს კრედიტებით სარგებლობის შესაძლებლობა მისცა. მართალია, კომპანიების კრედიტუნარიანობას კომერციული ბანკები აფასებენ, მაგრამ თუ ბანკი კომპანიას სესხს დაუმტკიცებს, ამ სესხის 9%-ს სახელმწიფო ფარავს, რაც უპრეცედენტო მოვლენაა. ვისურვებდი, რომ ასეთი მიდგომა შემდგომ წლებშიც გაგრძელდეს. გარდა ამისა, ღვინის მწარმოებელ კომპანიებს სახელმწიფომ შეღავათიანი სესხით სარგებლობის საშუალებაც მისცა. სესხის მაქსიმალური ოდენობა 1 000 000 ლარით განისაზღვრა, რაც მიზნობრივი სესხი იყო, რადგან ამით კომპანიებმა მანქანა-დანადგარები და საწარმოო სიმძლავრეები გააუმჯობესეს. ამ შემთხვევაში, კომპანიები სიმბოლურ თანხას იხდიან, რადგან სესხი 13%-იანია ლარში, საიდანაც 12%-ს სახელმწიფო ფარავს. ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ეს ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია ქართული მეღვინეობისა და მევენახეობისათვის, ასევე ქვეყნისა და ზოგადად, ამ დარგის მომავლისთვის.

— სარეალიზაციო ბაზრებთან დაკავშირებით, რა მდგომარეობა გაქვთ?

— კომპანია „თბილღვინო“ 30-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის ღვინოს, მათ შორის, რუსეთშიც, სადაც პირველი გადატვირთვები ზაფხულის მეორე ნახევრიდან დავიწყეთ. ჩვენს კომპანიას ფართო ასორტიმენტი აქვს, რადგან ექსპორტზე რამდენიმე სავაჭრო ნიშნით ვართ წარდგენილები.

„ვერსიასთან“ საუბრისას, რთვლის პროცესს ეკონომიკის ექსპერტი **ირაკლი ლექვინაძე** აფასებს:

— ვფიქრობ, მთლიანობაში, რთველმა საკმაოდ ნორმალურად ჩაიარა იმ სიახლეებისა და, შეიძლება ითქვას, თამამი გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალმა ადმინისტრაციამ შემოგვთავაზა. იმას ვგულისხმობ, რომ გარკვეულწილად, რთვლის პროცესში, სახელმწიფოს როლი შემცირდა და უფრო მეტი აქცენტი კერძო ინიციატივებზე, ასევე ფასთწარმოქმნის საბაზრო მექანიზმებზე გაკეთდა. ვთვლი, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ყურძნის ფასი საბაზრო მექანიზმით დადგინდა, რომლის რეალიზაცია კერძო სექტორმა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე განახორციელა. რა თქმა უნდა, ღვინის მწარმოებელ კომპანიებს რუსეთის ბაზრის გახსნის მოლოდინი ჰქონდათ და შესაბამისად, ყურძნის მაღალი ფასიც ამან განაპირობა, მაგრამ რთველმა საკმაოდ დახვეწილად ჩაიარა. სახელმწიფო რთვლის პროცესში საერთოდ არ ჩარეულა, მხოლოდ საინტერესო იდეები შესთავაზა კერძო სექტორს, თანაც ყოველგვარი ძალდატანებისა და ხელოვნური ჩართულობის გარეშე. მაგალითად, წინა წლებში, სახელმწიფო მასწავლებლებსაც კი აიძულებდა, ყურძნის გარკვეული რაოდენობა შეეძინათ, რათა პროდუქციის გასაღების პრობლემა არ შექმნილიყო. წელს სახელმწიფოს „ჩარევა“ მხოლოდ სერვისის გაუმჯობესებაში გამოიხატებოდა, რომელიც მხოლოდ პრობლემებს აგვარებდა. ვფიქრობ, კარგი პრეცედენტი შეიქმნა და სასურველია, სამომავლოდ სახელმწიფო ნელ-ნელა გამოვიდეს ამ ურთიერთობებიდან.

— წელს მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, ქართულ ოცნებას ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები რთველის „გენერლებად“ არ დაუსახელებია, არ მეთანხმებით?

— ზუსტად ამას ვგულისხმობ, როდესაც რთვლის პროცესში სახელმწიფოს წილის შემცირებაზე ვსაუბრობ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ წელს, რთვლის პროცესში მთავრობა მობილიზებული არ ყოფილა. რაც მთავარია, რთველს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები არ ხელმძღვანელობდნენ. საბაზრო ელემენტი წელს უფრო მეტი იყო იმის მიუხედავად, რომ გაცილებით მეტი მოსავალი მივიღეთ, ვიდრე წინა წლებში. მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ სახელმწიფომ ნელ-ნელა შეიკვეცა მოქმედების არეალი და ყურძნის ფასი ფიქსირებული არ ყოფილა. მართალია, წელს ყურძნის ფასში სუბსიდიის ელემენტები გვქონდა, მაგრამ სახელმწიფომ მხოლოდ ქვედა ზღვარი დაადგინა და კერძო კომპანიებს საშუალება მისცა, ყურძენი იმ ფასად შეეძინა, რაზეც გლეხებს გაურიგდებოდნენ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო, რადგან ღვინის მწარმოებელ კომპანიასა და გლეხებს შორის საბაზრო ურთიერთობის პრინციპი დამკვიდრდა. ასეთი ტიპის ურთიერთობა კი მნიშვნელოვანია როგორც ფერმერების, ასევე ღვინის კომპანიებისთვის, რადგან უფრო მეტად იზრუნებენ ყურძნის ხარისხსა და გავრცელების ბაზრებზე.

— რუსეთის ბაზრის გახსნა მეღვინეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორ გგონიათ, როდესაც კომპანიები ექსპორტისთვის მზად იქნებიან, პრობლემები ხომ არ შეექმნებათ?

— რუსეთის ბაზარზე, შეიძლება ყოველთვის წარმოიშვას პრობლემები, რადგან მაღალრისკიანი ბაზარია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ბაზარი საკმაოდ საინტერესოა, პრობლემებს მაინც ვერ გამოვრიცხავთ. განსაკუთრებით ახლა, როდესაც ევროკავშირის სამიტია დაგეგმილი, რის გამოც რუსეთი ძალიან გაბრაზებულია. მეზობელი სახელმწიფოების არჩევანი ევროინტეგრაციაა და არა ევრაზიული კავშირი, ამიტომ მეზობელი ქვეყნების მიმართ რუსეთი საკმაოდ აგრესიულ პოლიტიკას გაატარებს, განსაკუთრებით, სავაჭრო მიმართულებით. ლიტვის, ბელორუსის, უკრაინის მიმარ გარკვეულ სანქციებს ისედაც არ ერიდება და ამ ფონზე, გამორიცხული არ არის, ქართული ღვინის ექსპორტსაც შეუშალოს ხელი. შეგახსენებთ, ამის ნიშნები უკვე იყო, როდესაც რუსეთში რამდენიმე ქართული კომპანიის ღვინო დაიწუნეს. თუმცა ამის მიუხედავად, ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა, აქტიური მარკეტინგის პირობებში, რუსეთის გარდა, სხვა ბაზრების მიმართულებითაც უნდა იმუშაონ. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი კომპანიის საექსპორტო პორტფელში, რუსეთის ბაზრის წილი 20%-ზე მეტი არ უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ერთ-ერთი და არა ერთადერთი სარეალიზაციო ბაზარია.

მაია მიშელაძე

მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net
ობიექტური ვერსია
იპოვეთ თქვენი www.versia.ge ვერსია

„ოცნების“ დამსახურებაა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნების შანსებზე რომ საუბრობს“

ეროსუდან შელია
557-100-768

7 ოქტომბერს გაზეთ „ვერსიისა“ და მედიაკავშირ „ობიექტივის“ ერთობლივი პროექტის — „ვერსიის საათის“ სტუმარი ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა იყო, რომელმაც გადაცემაში წინასაარჩევნო პროცესი შეაფასა და ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებაში დაადანაშაულა:

— საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს უკომპრომისო და ჭეშმარიტმა პატრიოტმა შალვა ნათელაშვილმა, რომელმაც ბოლო ოცი წელი შეუპოვარ პოლიტიკურ ბრძოლაში გაატარა. სხვათა შორის, თუ ხელისუფლებამ არჩევნები არ გააყალბა, ლეიბორისტული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატს გამარჯვების საკმაოდ დიდი შანსი აქვს.

— NDI-სა და ზურაბ ბიგვავას ორგანიზებით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, შალვა ნათელაშვილს საზოგადოებისგან მხოლოდ 3%-იანი მხარდაჭერა აქვს. რა მონაცემებს ეყრდნობით, როცა არჩევნებში თქვენი პარტიის ლიდერის უპირობო გამარჯვებაზე საუბრობთ?

— ბიძინას კარის ექსპერტების შეფასებაზე კომენტარს არ გავაკეთებ, NDI კი, დიდი ხანია გაცვდა — ნავაროს მიერ დადებული შედეგები ხალხს სასაცილოდ არ ჰყოფნის. ფაქტია, ეს ადამიანები ბევრჯერ ჩაფლავდნენ. სხვათა შორის, ზურაბ ბიგვავას ვურჩევდი, ალკოჰოლური სასმელი ნაკლებად მიიღოს და ნაკლები სისულელე შემოგვთავაზოს. შალვა ნათელაშვილი, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, უკვე 300-მდე სოფელში იმყოფებოდა, ადგილობრივი მოსახლეობა კი ყველგან დიდი სიყვარულით ხვდებოდა. სწორედ ამ ადამიანების განწყობაზე დაყრდნობით ვსაუბრობ, რომ ხელისუფლების ერთწლიანი მოღვაწეობის ფონზე, შალვა ნთელაშვილს გამარჯვების რეალური შანსი აქვს. „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებას იმედი დიდი ხანია გაუცრუა.

— საპრეზიდენტო არჩევნებში არც ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იქნება გადამწყვეტი, რომელიც ბოლო დროს, რეგიონებში შეხვედრებზე გიორგი მარგველაშვილთან ერთად დადის და საზოგადოებას კოალიციის კანდიდატის პრეზიდენტად არჩევისკენ მოუწოდებს?

— გიორგი მარგველაშვილი საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი პოლიტიკოსია; თანაც მას ის უნარ-ჩვევები არ აქვს, რაც პოლიტიკურ ლიდერს სჭირდება. დიახ, მისი ერთადერთი პოზიტივი ისაა, რომ „ბიძინა ივანიშვილის კაცია“. გიორგი მარგველაშვილის რეიტინგზე უარყოფითად მოქმედებს ე.წ. კოჰაბიტაციაც — რეალურად ხომ, „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის ბიზნესისა და ძალაუფლების გადანაწილება მოხდა. საზოგადოება გრძნობს, სისტემური ცვლილება ქვეყანაში არ განხორციელებულა და მხოლოდ ადამიანებმა ჩაანაცვლეს ერთმანეთი; მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილის სურვილი ნათელია — მან უსახური და უამბიციო გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად მხოლოდ იმისთვის შეარჩია, რომ ოლიგარქისთვის დამახასიათებელი ცხოვრება მშვიდად გააგრძელოს. პრემიერმა კარგად იცის, გიორგი მარგველაშვილი მას არასოდეს შეეწინააღმდეგება და შესაბამისად, ხელისუფლებისგან საფრთხეც არ ემუქრება, თავად კი კოალიციის მართვას კულუარულად გააგრძელებს.

— მომავალ პრეზიდენტს უფლებები ისედაც შეეზღუდება. აქვე, ისიც განმარტეთ, რა რისკებს შეიცავს ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, რომელსაც არ სურს, ქვეყანა მასზე დამოკიდებულმა გუნდმა მართოს და მთავრობის გაკონტროლებას, საზოგადოებასთან ერთად, სამოქალაქო სექტორიდან აპირებს?

— საქართველოს მომავალი პრეზიდენტი საზოგადოების მიერ პირდაპირი წესით არჩეული პირველი პირი იქნება, რომელსაც კონსტიტუციურად შეზღუდული უფლებების მიუხედავად, არბიტრის უფლებამოსილება და ბერკეტები ექნება. თანაც კრიზისულ ვითარებაში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ პრეზიდენტს ეთქმის. რაც შეეხება პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლას, ცხადია, პრემიერი პასუხისმგებლობას გაურბის. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში სამუშაო ადგილების რაოდენობა შემცირდა, საყოველთაო დაზღვევის მიუხედავად, ჯანდაცვის სფეროში კატასტროფული ვითარებაა — დღესაც უამრავ ადამიანს გადაუდებელი ოპერაციის გაკეთებისა და წამლების ყიდვის შესაძლებლობა არ აქვს. ეს იმის ბრალია, რომ როგორც ნაციონალური მოძრაობის დროს, დღესაც ქვეყანაში „დაზღვევის მაფია“ მძვინვარებს, რომლის უკან მაღალჩინოსნების ინტერესები დგას. მიპასუხეთ, რატომ არ აღუდგა 10 ათას სტუდენტს სტატუსი, რომლებიც თავის დროზე, უნივერსიტეტებში დაწესებული მაღალი გადასახადის გადაუხდელობის გამო სასწავლებლებიდან გარიცხეს? ეს არის სწორედ კოჰაბიტაციის შედეგი.

— წინასაარჩევნოდ, ხელისუფლება და კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი საზოგადოებას კოჰაბიტაციის დასრულებას ჰპირდება. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ 27 ოქტომბრის შემდეგ?

— საინტერესოა, ამ ერთი წლის განმავლობაში რაში უშლიდა ხელს „ქართულ ოცნებას“ ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაცია, როცა საპარლამენტო უმრავლესობა, პოლიცია, პროკურატურა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი დანარჩენი უწყებები თავიდანვე მათ ხელთ იყო?! ვერ მივიღებ არგუმენტს, თითქოს, ბიძინა ივანიშვილმა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის გამო, წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებები ვერ შეასრულა; თანაც პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება მარტივად შეიძლებოდა, თუმცა მაშინ კოალიციამ ამ პროცესზე უარი განაცხადა.

— მაშინ პრემიერისგან არგუმენტიც მოვისმინეთ — სააკაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყებას დასავლეთი ვერ გაიგებსო.

— ამ არგუმენტსაც არ ვიზიარებ, რადგან ჩვენ, ქართველები, ვიღაცების უუფლებო მონები არ უნდა ვიყოთ. ფაქტია, ბიძინა ივანიშვილმა მორიგი სპექტაკლი შემოგვთავაზა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა, ვარდების რევოლუციის სახით, 2003 წელს ედუარდ შევარდნაძის გადაყენების სპექტაკლი დადგა, იგივე მოხდა 2012 წლის პირველ ოქტომბერსაც. როცა ნაციონალური მოძრაობის მიმართ უზარმაზარი უკმაყოფილება დაგროვდა და ქვეყანაში, რეალურად, გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა, აუცილებელი იყო ისეთი ძალის გამოჩენა, რომელიც საზოგადოებაში ნაციონალებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას განმუხტავდა. ამიტომ დაიწერა სცენარი ნაციონალური მოძრაობის არჩევნების გზით გაცილების შესახებ. საბოლოოდ, კოჰაბიტაცია მივიღეთ, რაც თურმე, დამნაშავეებსა და კრიმინალებთან თანაცხოვრებას ნიშნავს.

— ანუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაციის მიზნით მოვიდა?

— ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ასე გამოდის — სწორედ „ოცნების“ დამსახურებაა, ნაციონალური მოძრაობა დღეს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსებზე რომ საუბრობს. თუ პროცესები ასე გაგრძელდა და რეალურად არაფერი შეიცვალა, მიხეილ სააკაშვილს ქვეყნის პირველ პირად მალე დააბრუნებენ. მოვლენები ამ მძიმე სცენარით რომ არ განვითარდეს, აუცილებელია, 27 ოქტომბერს შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტად ავირჩიოთ. ის პოლიტიკურ კონიუნქტურას რადიკალურად შეცვლის, ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე წარმომადგენლებს პასუხისგებაში მისცემს და მოსახლეობას უკანონოდ წართმეულ ქონებასაც დაუბრუნებს.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, 1955 წელს დაბადებული თამაზ შალვას ძე მაჩხანელი და ქრთამის აღებაში დამხმარე მოქალაქე, მცხეთის სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე ვაჟა გ. დააკავეს.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებული თამაზ მაჩხანელი თანამდებობრივი უფლებამოსილებისა და საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, შუამავალ ვაჟა გ-ს მეშვეობით და დახმარებით, კორუფციულ გარიგებაში შედიოდა პირებთან, რომლებსაც სურდათ მცხეთაში მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მიღება და სამშენებლო სამუშაოების წარმართვა; იგი დაინტერესებულ პირებს ჰპირდებოდა, რომ სამსახურებრივ მფარველობას გაუწევდა და საშუალებას მისცემდა, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ტერიტორიაზე მშენებლობა დაეწყოთ კანონით სავალდებულო სამშენებლო ნებართვისა და პროექტის დამტკიცების გარეშე, რისთვისაც მან მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს ქრთამის სახით, 400 ამერიკული დოლარი აიღო.

გამოძიებას ქრთამის აღების ფაქტზე შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

„სარაჯიშვილის“ გამყალბებლები პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებისა და ფალსიფიკაციის ფაქტზე მოქალაქე ნიკა შავლიაშვილი დააკავეს, თამარ ბლუიშვილი და რუზანა გოგოჩაშვილი კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, აღნიშნულმა პირებმა, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, კუსტარული წესით დაამზადეს და სამოქალაქო ბრუნვაში შეიტანეს, სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ სასაქონლო ნიშნით, უკანონოდ მარკირებული 8 000 ლარის ღირებულების, 427 ბოთლი ფალსიფიცირებული სპირტიანი სასმელი.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით და 196-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

შსს-მ ორი ძებნილი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ქურდობისთვის ძებნილი, 1981 წელს დაბადებული მირზა მ. და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ყაჩაღობისთვის ძებნილი, 1987 წელს დაბადებული ირაკლი მ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში დააკავეს.

დაკავებულები საქართველოში უკრაინის რეისით ჩამოფრინდნენ. ორივე ბრალდებული ქობულეთის რაიონული სამართველოს თანამშრომლების მიერ 2008 წლიდან იძებნებოდა. სასამართლომ მირზა მ-ს 4 წლისა და 9 თვის ვადით, ხოლო ირაკლი მ-ს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა.

ორივე მსჯავრდებული ამ დროისთვის სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულებაშია მოთავსებული.

„ვერსიანიუსი“

საქართველო რუსეთის აგრესიას უფრთხის

პეტრე სმოლიარი

guardian.co.uk

გასულ თვეში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ დაგმო „რუსეთის საოკუპაციო ჯარების უკანონო ქმედებები“ ცხინვალთან (სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი) ახლოს. ივანიშვილი რთულ მდგომარეობაშია. გასული წლის განმავლობაში, ის ცდილობდა დაძაბულობის შემცირებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ოკუპირებული ტერიტორიების“ გარშემო.

ივანიშვილი ამტკიცებს, რომ ურთიერთობის დარეგულირებას ხუთიდან შვიდ წლამდე დასჭირდება და მუდმივად იმეორებს, რომ თბილისმა უნდა აღადგინოს კონტროლი ამ რეგიონებზე ძალის გამოყენების გარეშე. ამ დროს მას გათვლა საქართველოს აქტივებზე აქვს.

ქართული ოპოზიცია აკრიტიკებს პრემიერ-მინისტრის დამჯერ დამოკიდებულებას მოსკოვის მიმართ, მაგრამ მას აქვს გამზადებული პასუხი სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების კონტექსტში, რომელსაც რუსეთი მომავალი წლის თებერვალში მართავს. **„ყველაფერი, რაც დღეს ხდება, მათ**

რებით, დემარკაციული ხაზის გასწვრივ მავთულხლართებს ავლებს და ზოგიერთ ადგილას წინაც იწევს. გასულ თვეში, ამ მხრივ ყურადღების ეპიცენტრში სოფელი დიცი მოექცა — სოფლის მაცხოვრებლებმა დაიჩივლეს, რომ მათ ჩაუკეტეს მისასვლელი საკუთარ სასაფლაოებსა და მეურნეობებთან. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდა, მაგრამ მათ მწირ შესაძლებლობებს არანაირი წონა არ გააჩნია და არც საზღვრის მეორე მხარეს განვითარებულ მოვლენებში აქვთ ჩარევის უფლება.

სეპარატისტული პროვინცია, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, დღეს რუსეთის ფინანსური და სამხედრო მეურვეობისა და კონტროლის ქვეშაა. ამ უკანასკნელს კი არანაირ დათმობაზე წასვლა არ უნდა იმ ფონზეც, როდესაც ამ თვის ბოლოს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელიც აღნიშნავს სააკაშვილის ეპოქის დასასრულს 10 წლის შემდეგ „ვარდების რევოლუციიდან“.

სინამდვილეში, მოსკოვს გადაწყვეტილი აქვს, საქართველოს ხელისუფლებას აიძულოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება ბელორუსსა და ყაზახეთთან ერთად. მიმდინარე ზეწოლის უკან რეგიონული არასტაბილურობის საფრთხე იმალება, თუკი თბილისი ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისკენ სწრაფვას განაგრძობს.

შორის მავთულხლართების გავლება, თამაშებს უკავშირდება“, — ამტკიცებს ივანიშვილი, — **„მთელი რუსეთი დღეს ფოკუსირებულია იმაზე, თამაშები როგორმე მშვიდობიანად ჩაატაროს. ჩვენც ყველაფერს ვაკეთებთ მათ დასახმარებლად და იმისთვის, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს“**. კითხვაზე, რომელიც ეხება მავთულხლართებისა და ღობეების მშენებლობას ზოგიერთ ადგილებში, ის იძაბება და პასუხობს — „რა უნდა გავაკეთოთ? ახალი ომი დავიწყოთ?“

საქართველოს პრეზიდენტს, ამ მოვლენებთან დაკავშირებით, უფრო რადიკალური პოზიცია აქვს. გასულ თვეში, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, სააკაშვილმა რუსეთი დაახასიათა, როგორც **„ძველი იმპერია, რომელიც ცდილობს ძველი საზღვრების აღდგენას“**.

მისი გამოსვლის დროს, რუსეთის დელეგაცია ადგა და, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა: **„მიუხედავად საქართველოს ახალი მთავრობის მეგობრული განცხადებებისა, ბოლო კვირებისა და თვეების განმავლობაში, რუსეთის არმია განაგრძობს მისი პოზიციების გაფართოებას და ყოფს მოსახლეობას ახალი მავთულხლართებით“**.

რუსეთის ელჩმა გაერო-ში, ვიტალი ჩურკინმა ამ გამოსვლას „რუსოფობიური“ უწოდა და თქვა, რომ სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა „სპეციალისტების ჩარევას“ საჭიროებს.

ილჰამ ალიევმა ამომრჩეველთა ხმის თითქმის 85% მიიღო

აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 84,73%-ით ილჰამ ალიევი ლიდერობს. BBC-ის ინფორმაციით, აზერბაიჯანის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების 72% უკვე დაითვალა.

კომისიის თავმჯდომარე მაზაჰირ პანახოვის განცხადებით, არსებული შედეგებით უკვე შესაძლებელია ითქვას, რომ მოქმედი პრეზიდენტი მესამე ვადით აირჩიეს.

ილჰამ ალიევმა სატელევიზიო მიმართვაში აზერბაიჯანის მოსახლეობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

მოქმედი პრეზიდენტის ძირითადმა ოპონენტმა ჯამილ ჰასანლიმ, რომელიც არჩევნებში ოპოზიციური კოალიციის სახელით მონაწილეობდა, ამ დროისთვის მხოლოდ 8,2%-ის მხარდაჭერა მიიღო.

მმართველი პარტია „ახალი აზერბაიჯანის“ დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ოპოზიციის საუბარი არჩევნებზე მასობრივი დარღვევების შესახებ, გამოგონილია. ჩეხეთის პარლამენტის დამკვირვებლები კი აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებს მშვიდობიანს უწოდებენ, რომელმაც წყნარ ვითარებაში ჩაიარა.

„ინტერპრესნიუსი“

სპარსეთის ყურის ქვეყნებში ჰომოსექსუალებს შესვლა აეკრძალებათ

The Independent-ის ინფორმაციით, კუვეიტი და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნები აეროპორტებში ახალ სისტემას ნერგავენ, რომლის მიზანია უცხოელი ჰომოსექსუალების გამოვლენა.

როგორც კუვეიტის ხელისუფლების წარმომადგენელმა, იუსუფ მინდკარმა განაცხადა, ადამიანებს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით ქვეყანაში შესვლა აეკრძალებათ და ამ ინიციატივას საუდის არაბეთი, ომანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები შეუერთდა. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ბახრეინი და ყატარი, მომავალი გვიჩვენებს.

დღეს, კუვეიტის კლინიკებში რეგულარულად მიმდინარეობს შემოწმება არატრადიციული ორიენტაციის არსებობაზე. კონკრეტულად კი, რა ზომებს მიიღებენ ქვეყნები ჰომოსექსუალების გამოსავლენად, მაღალჩინოსანი არ განმარტავს.

კუვეიტის კანონმდებლობით, ერთსქესიანი ურთიერთობები აკრძალულია, ხოლო მათ, ვინც კანონს არ დაემორჩილება, პატიმრობა ემუქრება. მსგავსი კანონები მოქმედებს სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებშიც — მაგალითად საუდის არაბეთში, ჰომოსექსუალიზმი სიკვდილით ისჯება.

„ექსპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

ლიბიის პრემიერ-მინისტრი გაიტაცეს

ლიბიელი ამბოხებულები პრემიერ-მინისტრ ალი ზეიდანის დაპატიმრების შესახებ იუწყებიან. BBC-ის ინფორმაციით, დაჯგუფება, სახელად „რევოლუციონერთა ოპერატიული დანაყოფი“ აცხადებს, რომ ზეიდანი პროკურორის მითითებით დააპატიმრეს.

აღნიშნულის მიზეზად დაჯგუფება ანას ალ-ლიბის დაკავების ოპერაციას ასახელებს, რომელიც 5 ოქტომბერს, ტრიპოლში, ამერიკულმა სპეცრაზმმა აიყვანა.

ლიბიის იუსტიციის სამინისტრომ პრემიერ-მინისტრის დაკავების ორდერის გაცემა უარყო.

ინფორმაცია პრემიერ-მინისტრის გატაცების შესახებ ლიბიის მთავრობამ გაავრცელა. მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ალი ზეიდანი უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა გაურკვეველი მიზეზით აიყვანეს. ზეიდანის ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

„ინტერპრესნიუსი“

სუდოკუ ანა

ადვილი

3						7		
		4	9	8		5		
				6		1		4
9	5				4			1
8				5				9
7			1				5	2
6		7		1				
		9		4	6	2		
		2						7

სტანდარტი

	8			5			1	
1				3				
	4		1		8	7	2	
	2	5						1
			5	4	3			
7						5	6	
	1	2	3		7		4	
				2				3
	9			6			8	

რთული

3				6				8
2	1		8		4		6	
		6					2	
				4	6		7	9
9	6		5	2				
	3					6		
	2		4		1		8	7
4				7				5

ექსპერტი

		2						5
	3	1			2	4		
9	7					3		
				8			7	4
			9		3			
5	6			7				
		3					4	6
		8	4			2	1	
1						8		

სახლის საქმე ჯანმრთელობას ვნებს

საოჯახო საქმე ნეგატიურად აისახება ქალის ჯანმრთელობაზე, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რადგან მიაჩნიათ, რომ ზედმეტი დატვირთვა გულსისხლძარღვთა სისტემას აზიანებს. მკვლევარებმა 100-ზე მეტი მამაკაცი და ქალი გამოკითხეს, რომლებიც მუშაობენ და პარალელურად ოჯახში დასვენების საშუალება არ აქვთ. მათ მაღალი არტერიული წნევა აწუხებთ, რადგან დასვენებისთვის დრო არ რჩებათ, რაც სერიოზულ ემოციურ დატვირთვას იწვევს. წნევის მატების მთავარ წყაროდ სწავლულებმა სახლის დალაგება, საჭმლის კეთება და რეგულარულად საყიდლებზე სიარული დაასახელეს, რასაც სტრესამდე მივყავართ.

ხილი – სიმსივნის წინააღმდეგ



ჰონგკონგელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ლუპეოლი, რომელსაც მანგო, ყურძენი და მარწყვი შეიცავს, აფერხებს კიბოს უჯრედების შემდგომ განვითარებას და ახალი დაავადებული უჯრედების წარმოქმნას უშლის ხელს. სწავლულების მონაცემებით, ლუპეოლის კიბოს საწინააღმდეგო აქტიურ ობა უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე დღეს ქიმიოთერაპიაში გამოყენებული პრეპარატებისა. ჰონგკონგელი მეცნიერები ექსპერიმენტებს თაგვებზე ატარებდნენ. მათ ნაწილს ლუპეოლით მკურნალობდნენ, ნაწილს — სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატ ცისპლატინით. მღრღნელებს პირველი ჯგუფიდან სიმსივნე ზომაში შეუმცირდათ და დადებითი ეფექტი აქ უფრო სწრაფად მიიღეს, ვიდრე მეორე ჯგუფის მღრღნელებში, ცისპლატინით მკურნალობისას. თანაც, ლუპეოლით მკურნალობას სხეულის მასის შემცირება არ გამოუწვევია და არც სხვა გვერდითი მოვლენები ჰქონია. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ლუპეოლის ასეთი ეფექტი აიხსნება პროტეინ NFkB-ის ბლოკირების უნარით, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს თავისა და ყელის კიბოს, ასევე პროსტატის, მკერდისა და თირკმლის კიბოს განვითარებაში. ასე რომ, ჰონგკონგელი მკვლევარები უახლოეს მომავალში კლინიკური ექსპერიმენტების დაწყებას გეგმავენ.

ყველაზე მსუქნები, ნევროზულები და ავადმყოფები

ერთ-ერთ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მეცნიერებმა პლანეტის მცხოვრებთა შორის ყველაზე მსუქან, ნევროზულ და ავადმყოფებად ამერიკელები დაასახელეს. „ადამიანური კაპიტალის ინდექსის“ ახალ კონცეფციაში გაითვალისწინეს არაინფექციური დაავადებები. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ აშშ-ში ბიზნესის განვითარებასა და ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაავადებების გავლენა საკმაოდ მაღალია. კაპიტალის ინდექსის მიხედვით, 122 ქვეყნიდან ამერიკა 112-ე ადგილზეა, რეიტინგში კი ევროპის პატარა ქვეყნები ლიდერობენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	9	6	8	5	1	4	2	3
5	2	4	7	3	9	1	6	8
8	1	3	6	4	2	9	7	5
3	8	2	9	1	7	5	4	6
6	4	7	3	2	5	8	9	1
9	5	1	4	6	8	7	3	2
1	7	5	2	9	6	3	8	4
4	6	9	1	8	3	2	5	7
2	3	8	5	7	4	6	1	9

სტანდარტი

3	2	1	6	9	8	7	5	4
9	8	7	2	5	4	6	3	1
6	5	4	3	1	7	2	9	8
4	3	5	7	2	6	1	8	9
8	1	2	9	4	5	3	7	6
7	9	6	8	3	1	4	2	5
5	7	3	4	6	9	8	1	2
2	6	9	1	8	3	5	4	7
1	4	8	5	7	2	9	6	3

რთული

1	8	6	3	7	9	5	4	2
5	4	9	2	1	8	7	3	6
3	7	2	5	6	4	1	9	8
4	1	3	9	2	7	8	6	5
2	9	5	4	8	6	3	7	1
8	6	7	1	5	3	4	2	9
9	5	4	8	3	2	6	1	7
6	3	1	7	9	5	2	8	4
7	2	8	6	4	1	9	5	3

ექსპერტი

9	8	1	6	5	4	3	7	2
7	5	6	3	9	2	4	1	8
3	4	2	1	8	7	9	6	5
6	7	9	2	4	5	8	3	1
2	3	8	9	1	6	7	5	4
5	1	4	8	7	3	6	2	9
8	9	7	5	3	1	2	4	6
4	6	5	7	2	8	1	9	3
1	2	3	4	6	9	5	8	7

მე-13 გვერდი: 1. მასტიტი; 2. ქნესეთი; 3. მუსუსი; 4. სინანულისანი; 5. იასპი; 6. იაკი; 7. ქაიხოსრო; 8. ეფრეიტორი; 9. ეპოქა; 10. იტილი; 11. იასრიბი; 12. ენარეტე; 13. უდე; 14. კოსინუსი; 15. ვიბრიონი; 16. რიუნოსკე; 17. იონი; 18. მაია; 19. ფიუნესი; 20. ორიგამი; 21. დუნია; 22. ფარა; 23. სიტი; 24. „გიტანჯალი“; 25. „კინტოური“; 26. ალეგრო; 27. გიმნაზია; 28. იარა; 29. ტუში; 30. თია; 31. არნო; 32. ლიმონა; 33. რური; 34. ინრო; 35. ტორშერი; 36. შამაია; 37. ოინი; 38. იოსები; 39. მოსე; 40. რომბი; 41. ინა; 42. ირენ; 43. ჯოლი; 44. ბეტა; 45. ნესი; 46. იშტა; 47. ადა; 48. სასკია; 49. პკე; 50. სკა; 51. აკნე; 52. სან სირო; 53. ელია; 54. რე; 55. „ლეგო“; 56. ელ; 57. ზუა; 58. ბანდა; 59. ბია; 60. ალათაუ; 61. უშუ; 62. არიადნე; 63. ილტო; 64. იდა.

შინდომა ყოველდღიურად ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

1. გოლიათი მონადირე ბერძნულ მითოლოგიაში
2. ქალის მიერ თავის დაკვრა მუხლის ჩაკეცვით
3. ალექსანდრე მაკედონელის დედა
4. კვერცხის გული
5. ვულკანი, რომელმაც პომპეი გაანადგურა
6. იგივეა, რაც ოპიუმი
7. არქიმედეს ცნობილი წამოძახილი
8. აღმოსავლეთმცოდნეობა
9. ხმის გამაძლიერებელი მილი კონუსური ფორმისა
10. საშუალო იდიოტსა და დებილს შორის
11. მცენარის მტვრის მარცვლის გარსის შიდა შრე
12. ცხვრის ყველის სახეობა
13. ფართობის ერთეული, ჰექტრის მეასედი
14. მდინარე ფრანკფურტში
15. ძველი საბუთების საცავი
16. კლავიშიანი სასულე მუსიკალური საკრავი
17. წინსართი, რომელიც აღნიშნავს „მცირეს“
18. საბჭ. თვითმფრინავების დასაჯდომი ტერიტორია
19. მონარქიული ქვეყნების გაერთიანება
20. დახურული მსუბუქი ავტომობილის ტიპი
21. როიალის და პიანინოს საერთო სახელი
22. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში
23. ოიდიპოსის დედა და ცოლი
24. მითოლოგიური ფრინველი თვითწვის უნარით
25. დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარე
26. ნაპოლეონის მარშალი
27. ამერიკელი კინორეჟისორი სტენლი ...
28. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
29. ალ. დიუმას ისტორიული რომანი
30. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
31. მუსიკალური გამის V ნოტი
32. დიდი გარეული ფრინველი
33. გულოიანის სახელი
34. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
35. პარკოსანი მცენარე
36. ფიგურული ფრჩხილი მუსიკაში
37. აქილევსის სუსტი წერტილი
38. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში
39. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
40. იტალიელი პოეტი ტორკვატო ...
41. მხარე იმერეთში
42. გველეშაპი, რომელიც ზევსმა ეტნის ქვეშ დამარხა
43. რუსი ფერმწერი ნიკოლოზ ...
44. ყურძნის ტკბილი წვენი, მესანახად მოდუღებული
45. დამხმარე ნაგებობა ძვ. ბერძ. თეატრში
46. ადამიანის ბიოველი
47. რვაკუთხედი
48. თვალების ხშირი უნებლიე მოძრაობები
49. კუკარაჩას მკვლელი
50. ნახევარმთვარის ფორმის ხრტილი მუხლის სახსარში
51. ინდოელთა წმინდა ყვავილი
52. საფრანგეთის უმსხვილესი პორტი
53. მხედველობის ორგანო
54. ქალაქის ან სოფლის ნაწილი
55. მოკლე მუსიკალური მისალმება
56. წყალქვეშა კლდე
57. „საავარცხლიანი“ ფრინველი
58. რეზო ესაძის კინოქალაქი
59. უძველესი სიმებიანი საკრავი
60. პლატონის მეცნიერება
61. სოფელი, სადაც კაბადოკიიდან მომავალი წმინდა ნინო შეჩერდა
62. ...-კლარეტი
63. აფსტრ. ავტომრბოლელი
64. მწერალ დესპინე გელოვანის ფსევდონიმი
65. ქართული გაზეთი
66. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
67. ქვეყანა, რომლის დედაქალაქია ვიენტიანი
68. ქეიფი ერთმანეთში შეგროვილი ფულით
69. სპილბერგის უცხოპლანეტელი
70. მხარზე გადასაკიდი ჩანთა
71. პაბლო პიკასოს ქალიშვილი
72. მღვდლის სამოსელის ნაწილი
73. საფქვილე ყუთი წისქვილში
74. ტრიგონო-მეტრიული ფუნქცია
75. ჩინურ-იაპონური შაში
76. კედლის სანათი
77. ჩინელი კალათბურთელი ... მინგი
78. ხელოვნური საერთაშორისო ენა
79. ერთეულოვანი ვექტორი
80. ციხე, სადაც ედმონ დანტესი იჯდა
81. „მტირალა“ ხე

ხორბალი ჯანმრთელობას ვნებს

ხორბლის პროდუქტი დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას — ეს სენსაციური აღმოჩენა ამერიკელმა მეცნიერებმა გააკეთეს. ცნობილი კარდიოლოგი უილიამს დევისი დარწმუნებულია, რომ ხორბალი ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მის შემადგენლობაში შედის ნახშირწყლები, რაც ააქტიურებს ქონის წარმომქმნელ ჯირკვლებს და ინსულინის დონეს ზრდის. ასე რომ, ხორბლის ან მისი პროდუქტის მოხმარებას შეუძლია, კანის პრობლემები გამოიწვიოს: ზედმეტი ცხიმიანობა და გამონაყარი. გარდა ამისა, მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ხორბალი შეიძლება დიაბეტის მიზეზიც გახდეს, რადგან სისხლში შაქრის დონეს ზრდის. საქმე ისაა, რომ დღევანდელი პროდუქტი ძალიან განსხვავდება იმ ხორბლისგან, რაც ჩვენს წინაპრებს მოჰყავდათ. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის წყალობით, თანამედროვე ხორბალში არის სპეციალური ცილა — გლიადინი, რომელიც ტვინზე უარყოფითად ზემოქმედებს.

ჰოროსკოპი
11 ოქტომბერი

ვერძი — პასიური დღეა და ზოგადად, არასასურველი პერიოდია მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას კარგად დაფიქრება გმართებთ. სადამოს თუ ერთგული მეგობრების წრეში გაატარებთ, ცუდი განწყობა გამოგეკეთდებათ.

კურო — მოულოდნელი წარმატება გელით, თუმცა გახსოვდეთ, რომ მხოლოდ სამსახურით ფონს ვერ გახვალთ — მეტი დრო დაუთმეთ თქვენს პარტნიორს, რადგან უყურადღებობა და ცივი დამოკიდებულება მომწიფებულ კონფლიქტს გაამწვავებს.

ტყუპები — მოსალოდნელია საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი — საქმე სკანდალამდეც მივა, ამიტომ ვიდრე რამეს მოიმოქმედებთ, ჯერ შესაძლო შედეგებზე დაფიქრდით.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენელ მამაკაცებს მეგობარ ქალთან ურთიერთობის გაწყვეტა ელით, სამაგიეროდ, დღე წარმატებულია კირჩხიბი-ქალებისთვის — ვარსკვლავები მოულოდნელ სიხარულს გიწინასწარმეტყველებენ.

ლომი — ყურადღებით იყავით და ჯერ ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სჯობს, ვითარების შეცვლისთვის უკეთეს დროს დაელოდოთ.

ქალწული — დღის პირველი ნახევარში უსიამოვნო საუბარი გელით — კონფლიქტი კოლეგებთან ან უფროსობასთან, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და ყურადღება სამუშაოზე გადაიტანეთ.

სასწორი — პირად ცხოვრებაში ყველაფერი, შეიძლება ითქვას, იდეალურადაა, სამაგიეროდ სამსახურში, უსიამოვნებას თავი რომ აარიდოთ, არავის გაანდოთ თქვენი გეგმები.

ღრიანცალი — რომანტიკული ურთიერთობა მამაკაცებს გაიტაცებს და საყვარულის ქსელში გახვევს, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ მალე, ეს ადფრთოვანება სასტიკი ეჭვიანობით შეიცვლება, კამათი და წყენა ურთიერთობის საბოლოოდ დანგრევამდე მიგიყვანთ.

მშვილდოსანი — დღეს რეალიზებულმა პროექტმა, შესაძლოა, საფუძვლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ სხვების დახმარებას ნუ დაელოდებით და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ.

თხის რქა — გადამწყვეტი მოქმედებების ან სერიოზული საუბრისთვის მოემზადეთ, რისი ინიციატორიც ახლობელი ადამიანი იქნება, თუმცა მთელი უბედურება ისაა, რომ სწორედ ახლა არ ხართ მზად მოვლენების რადიკალური ცვლილებებისთვის.

მერწყული — ერთ-ერთ შეხვედრაზე საინტერესო ნაცნობობა გელით მნიშვნელოვან ადამიანთან, რომელზეც იქნება დამოკიდებული შემდგომი კეთილდღეობა. შეეცადეთ, ზედმეტი გაპრანჭვისა და წინასწარ მოფიქრებული ფრაზების გარეშე, თანამოსაუბრეზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოთ.

თევზები — საამაყე არ მოგცემთ უფლებას, საუკეთესო თვისებები გამოავლინოთ. სავსებით შესაძლებელია, სადამოს ინანოთ, ასეთი შანსი რომ გაუშვით ხელიდან, მაგრამ არ დირს, ხელი ჩაიქნიოთ, რადგან ნებისმიერი მცდელობა მეტ საბრძნეს შეგძენთ.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.
რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

გერმანელებმა ალიბის სააგენტო შექმნეს

ეს უჩვეულო ბიზნესი სააგენტომ Alibi Profi დაარეგისტრირა. ხანდახან ადამიანს სჭირდება ტყუილი ამბის შეთხზვა, როცა არ უნდა წასვლა მოსაწყენ ოჯახურ შეკრებაზე, კორპორატიულ ღონისძიებაზე, ან სჭირდება მიზეზი საყვარელთან წასასვლელად... სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის ტყუილი ისტორიების მოფიქრებით არიან დაკავებულები ახალი სააგენტოს თანამშრომლები და, როგორც აღნიშნავენ, მათი ბიზნესი ყვავის — თუ მოღალატე ქმარი საყვარელთან ერთობა მეზობელ ქუჩაზე, მეუღლეს მისი სახელით ღია ბარათს უგზავნიან შორეული მივლინებიდან.

მილიონერი სოციალურ დახმარებას იღებდა

ბრიტანელი მამაკაცი, 46 წლის ედვარდ პუტმანი, რომელმაც 2009 წელს ლატარიაში 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოიგო, სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას მაინც იღებდა. კინგს-ლესში მცხოვრებმა პუტმანმა ლატარიის ორგანიზატორებს სთხოვა, მისი სახელი არ გაეხმაურებინათ, შედეგად კი, სახელმწიფო, რომლისთვისაც მისტერ ედვარდი სოციალურად დაუცველთა ნუსხაში რჩებოდა, „ღატაკ მილიონერს“ ყოველთვიურად 1 300 გირვანქა სტერლინგს უხდიდა. ბრიტანელის თაღლითობა მხოლოდ მაშინ გამოვლინდა, როცა მან კიდევ ერთი სახლის ყიდვა გადაწყვიტა და ქალაქის საბჭოში 84 ათასი გირვანქა სტერლინგი ნაღდი ფული მიიტანა. გამოძიებით დადგინდა, რომ „საწყალ პუტმანს“ საბანკო ანგარიშზე 2,4 მილიონი, ხოლო სახლში 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი ედო. სასამართლომ თაღლით ბრიტანელს, სოციალური სამსახურების მოტყუებისთვის, 9-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ჰოროსკოპი
12 ოქტომბერი

ვერძი — ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება მოგიწევთ. შეეცადეთ, დრო ტყუილად არ გაფლანგოთ. შექმნილი ვითარება რომანტიკული განწყობისკენ გიბიძგებთ.

კური — დღე, შესაძლოა, წინააღმდეგობებით სავსე აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, საკმაოდ აქტიური იქნებით, მაგრამ, მეორე მხრივ, შემოთავაზებული წინადადებები, შესაძლოა, არც ისე საინტერესო აღმოჩნდეს, როგორც იმედოვნებდით.

ტყუპები — საკუთარი პოტენციალი იქ გამოიყენეთ, სადაც თქვენი ნამდვილად ესმით და თქვენს იდეებს იწონებენ. მხოლოდ ნუ დაპირდებით გარშემომყოფებს იმას, რასაც ვერ შეასრულებთ.

კირჩხიბი — ამადლებული განწყობა შეიძლება იმან გაგიფუჭოთ, რომ ხელმძღვანელობა არ აფასებს დირსეულად თქვენს მუშაობას. ნუ მიიღებთ ამას სერიოზულად და გაითვალისწინეთ უფრო გამოცდილი კოლეგების აზრი.

ლომი — ნუ იჩქარებთ ხელშეკრულების გაფორმებას ან საკუთარ თავზე რაიმე ვალდებულების აღებას — ეს ყველაფერი, შესაძლოა, თქვენთვის სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს. ვარსკვლავები არც ძველი პროექტების წინ წამოწევას გირჩევენ.

ქალწული — როგორც უნდა გინდოდეთ, დრო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ, სჯობს, ამას თავი აარიდოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ კამათი გარდაუვალია, ამასთან, თავადაც ვერ მიხვდებით, ისე მოულოდნელად მოხდება ყველაფერი. ასე რომ, უმჯობესია, განმარტოვდეთ და ბედნიერ მომავალზე იოცნებოთ.

სასწორი — გეძლევათ შესაძლებლობა, დაწყებული საქმე ბოლომდე წარმატებით მიიყვანოთ, თუმცა არ არის გამორიცხული სერიოზული ინტელექტუალური ბრძოლა. მზად იყავით იმისთვისაც, რომ ახლანდელი მოკავშირეები კონკურენტებად მოგვევლინებიან.

ღრიანცალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე საკმაოდ რთული იქნება, საყვარელი ადამიანი უამრავ საზრუნავს გაგიჩენთ, მაგრამ ნუ მიიტანთ გულთან ახლოს ამ ყველაფერს, რადგან ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა.

მშვილდოსანი — დღე სწრაფად ჩაივლის და მოვლენებით დატვირთული იქნება, სასიამოვნო შეხვედრები და ახალი რომანტიკული გატაცება გელით, მხოლოდ ნუ ეცდებით მოვლენების დაჩქარებას.

თხის რქა — კარიერაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმაგრებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დაანებებთ. არადა, დისკუსიაში ჩართვის ცდუნება დიდი იქნება, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხართ.

მერწყული — არსებული პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ მათ მოგვარებას დიდი დრო და ენერგია დასჭირდება. შეეცადეთ, დისტანცია დაიცვათ გარშემომყოფებთან და ყველაფერს ნუ დაიჯერებთ, რისი მოსმენაც მოგიწევთ.

თევზები — ვარსკვლავები დიდი ხნის ნატვრის ასრულებას გპირდებიან, მხოლოდ ახლგაცნობილ ადამიანებთან ფრთხილი იყავით — არის რისკი, რომ ზედმეტი წამოგცდეთ, რაც უსიამოვნებას მოგიტანთ.

სუდოკუ

ადვილი

				1	5	6		
6		4				1		7
3			7				5	
2	3							
	9	6		7		4	1	
							3	9
	2				7			4
4		9				2		6
		8	4	2				

სტანდარტი

			4	5		2		
1	5	4						
			6			7		
		7	5	6			9	
2								6
	6			9	1	8		
		1			9			
						1	8	7
		5		4	6			

რთული

	4		7			1		
		7		8	5		4	3
6							8	
1				7		8		
			1		3			
		4		9				6
	2							8
7	8		5	4		3		
		5			7		9	

ექსპერტი

		5			2		1	
7	4				1		8	5
				8				
		1		2	9		7	6
				6				
8	6		1	7		9		
				5				
3	7		9				5	8
	5		7			6		

ჰოროსკოპი
13 ოქტომბერი

ვერძი — ვერძებს მოუწევთ, კიდევ ერთხელ გადაფურცლონ საკუთარი ჩანაწერები, შეამოწმონ დოკუმენტები, რათა მნიშვნელოვანი პერსონის წინაშე უაზრო პიროვნებად არ წარმოჩინდნენ. დღეს შეძლებთ თანამოსაუბრის საკუთარ სიმართლეში დარწმუნებას.

კურო — თუ დიდი ხანია მხიარულ ღონისძიებაზე არ ეოფილხართ, ახლა შესაფერისი დროა — ეს ცოტა ხნით ძაინც დაგავიწყებთ არსებულ პრობლემებს და სამოძავლო გეგმებზეც უკეთ დაფიქრდებით.

ტყუპები — პრაქტიკულად, ყველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, განსაკუთრებით კი, ფინანსებთან დაკავშირებულს. ალდოს წუალობით, თავს აარიდებთ უსარგებლო ხარჯსა და უპერსპექტივო დებანდებებს.

კირჩხიბი — ვიღაც-ვიღაცები ცდილობენ თავის „დაკრულზე გაცეკვონ“, რამაც შესაძლოა, ბევრი უსიამოვნება გამოიწვიოს, მაგრამ თქვენ ადვილად მოაგვარებთ ამ საკითხს, თუკი გარკვევით დაუფიქსირებთ საკუთარი პოზიციას.

ლომი — სიამაყე არ მოგცემთ უფლებას, შეურიგდეთ იმ ადამიანებს, ვინც თავის დროზე გაწყენინათ. არადა, სარგებელი, რომელიც მათთან კავშირმა შეიძლება მოგიტანოთ, გაცილებით დიდია და მნიშვნელოვანი, ვიდრე წუთიერი ამბიციები.

ქალწული — შეგიძლიათ ოჯახში ნებისმიერ თემაზე ისაუბროთ: ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდონ ეველაფერს და სიამოვნებით მოგისმენენ იმ შეთხვევაშიც კი, თუ თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ.

სასწორი — სასიამოვნო საუბარი გელით მეგობრებთან, არც ოჯახური პრობლემებია მოსალოდნელი, სამაგიეროდ ,ახალ ნაცნობებთან გმართებთ სიფრთხილე.

ღრიანკალი — უმთავრესი, რაც ახლა უნდა გააკეთოთ, საეჭვო პროექტებში მონაწილეობაზე უარის თქმაა. სახლის საქმეებიც კი, რაც ასევე უცნაურად მოგეჩვენებათ, სჯობს, გადადოთ და არც კი განიხილოთ ასეთი თემები.

მშვილდოსანი — წარმოუდგენელი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდებით. ბევრი წინააღმდეგობის გადალახვაც მოგიწევთ, თუმცა ეცადეთ, ეოველდღიურმა პრობლემებმა საყვარელი ადამიანების არსებობა არ დაგავიწყოთ.

თხის რქა — კარგი დღეა შორსმიმავალი გეგმების დასაწყობად, ცხოვრებაში ახალი მიზნების დასახვისთვის. თქვენი პარტნიორი მიხვდება, რომ ნამდვილად მზად ხართ ოჯახური ცხოვრებისთვის და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

მერწყული — თუ ზუსტად იცით, დღეს რა უნდა გააკეთოთ, ამ საქმიანობის შედეგი აუცილებლად წარმატებული იქნება. შეგიძლიათ, ახალი პროექტის წამოწყებაზე იფიქროთ ან ახალ ნაცნობობაზე. მეგობრებისა და ახლობლების რჩევები პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, დროული და სასარგებლო იქნება.

თევზები — დღეს ვარსკვლავები არ გირჩევენ შორ მოგზაურობაში ან ხანგრძლივ მივლინებაში წასვლას. დადია კონფლიქტის ალბათობა უფროსობასთან, ამიტომ ყველაზე კარგი, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ — დრო ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად, თბილ კამპანიაში გაატაროთ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

საკუთარი ქორწილის ჩაშლისთვის დააპატიმრეს

იაპონიის ქალაქ კოფუს სასამართლომ 40 წლის მამაკაცს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა იმ სასტუმროს დაწვისთვის, სადაც მეორე დღეს მისი საქორწინო ცერემონია უნდა გამართულიყო. მამაკაცი ღამით შეიპარა ოტელის პირველ სართულზე, იქაურობას ბენზინი მოასხა და ცეცხლი წაუკიდა, შედეგად კი მისი ქორწილი გადაიდო. გამოძიებამ დაადგინა, რომ მამაკაცი 1994 წლიდან უკვე დაქორწინებული იყო სხვა ქალზე, მოგვიანებით, „სამსახურეობრივი რომანი“ გააბა, ვითარება კი მას შემდეგ გართულდა, რაც შეყვარებულმა ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმება მოსთხოვა, რაზეც უარი ვერ უთხრა. როგორც მამაკაცი აცხადებს, ბოლო მომენტამდე ორ ქალს შორის საბოლოო არჩევანი ვერ გააკეთა და ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადადგა.

„შუადღის ძილის სახლი“ ფინელებისთვის

ფინეთის ქალაქ ტურკუში „შუადღის ძილის სახლი“ არსებობს, სადაც ნებისმიერ მსურველს, დღისით-მზისით, შეუძლია მივიდეს იქ და ცოტა დაისვენოს, სრულიად უფასოდ... თუმცა ერთი პირობით — სტუმარი აუცილებლად ფხიზელი უნდა იყოს. ვისაც ძილი არ უნდა, ახალ დაწესებულებაში სასურველ გასართობს მოძებნის — მაგიდის ჩოგბურთს ან ბილიარდს ითამაშებს, მიირთმევს ყავას ან ჩაის... ამ უჩვეულო პროექტის ავტორებს სურთ, „სიესტის“ სამხრეთულმა ტრადიციამ ჩრდილოეთ სკანდინავიაშიც მოიკიდოს ფეხი. შენობა საკმაოდ იაფად ვიქირავეთ, მეორადი მასალისა და უამრავი შემოწირული ნივთის წყალობით, პრაქტიკულად, უფასოდ მოვაწყვეთ დაწესებულება და პერსონალიც უანგაროდ მუშაობს, — აცხადებს „შუადღის ძილის სახლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

სუნამო ადამიანის ხასიათზე მეცყვილება

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ადამიანის ხასიათისა და ზოგჯერ მისი საიდუმლოს გაშიფვრაც შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორი არომატი მოსწონს:

აღმოსავლური სურნელი (ვანილი, მუსკატი და შავი პილპილი) — ამ არომატების მოყვარულები აფასებენ ტრადიციებს, გამოირჩევიან ეფექტური გარეგნობით, თავს კარგად უვლიან და, როგორც წესი, საკმაოდ განათლებულები არიან.

ციტრუსის არომატი — ვისაც მსგავსი სურნელი მოსწონს, გამოირჩევა ორგანიზებულობით, დისციპლინით, უყვარს ყველაფრის დაგეგმვა და წარმატების მისაღწევად ყველა მეთოდით იბრძვის.

ხილის არომატის მოყვარულებს მოსწონთ ხმაურიანი კამპანიები, სანდო ადამიანები არიან, მოქმედებენ გუნდური პრინციპით და აქვთ იუმორის გრძნობა. ყვავილოვანი არომატის მოყვარულები სანდო მეგობრები არიან, ალამაზებენ სხვის ცხოვრებას და კარგი დიასახლისები არიან. ხის სურნელი უფრო ელეგანტურ და თავშეკავებულ ადამიანებს იზიდავს. ისინი განათლებულები, ფრთხილები არიან და სიმშვიდეს ინარჩუნებენ კრიტიკულ მომენტებშიც კი. ოკეანისა და ზღვის სურნელის მოყვარულებს დახურული სივრცის ეშინიათ. ასეთი არომატი კი მათზე დამამშვიდებელად მოქმედებს, მათ არ უყვართ ზედმეტი მითითებები და ჩაცმის მინიმალისტური სტილით გამოირჩევიან.

მინიმალური ინვესტიცია — მაქსიმალური შედეგი!

ლევან ცალუღელაშვილი
570-700-537

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაყიდვების და ზოგადად, მარკეტინგის სპეციალისტებზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება. კარგად ორგანიზებულობა, პლუს დახვეწილი კომუნიკაცია, დარწმუნების უნარი, ეფექტური შეთავაზება, პოტენციურ კლიენტთა წრის განსაზღვრა – ეს არის ნაწილი იმ უნარებისა, რაც წარმატებულ მარკეტინგის მენეჯერს უნდა გააჩნდეს. აღნიშნულ სფეროში თანამედროვე სტანდარტის და თანაც ხელმისაწვდომი განათლების მიღება საქართველოში უკვე შესაძლებელია.

აშშ-ში არსებულმა ერთ-ერთმა პრესტიჟულმა უნივერსიტეტმა არაამერიკელი სტუდენტებისთვის სწავლების უნიკალური მოდელი შექმნა. უნივერსიტეტი სტუდენტს საშუალებას აძლევს, ისწავლოს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე დისტანციურად, მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის საფასურად.

იგივე სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ამერიკელ სტუდენტს ორი წლის განმავლობაში 25 000 დოლარამდე უჯდება, აქციის ფარგლებში კი არაამერიკელი სტუდენტი მხოლოდ 680 დოლარის გადახდის საფუძველზე იწყებს სწავლას. მთლიანად კი, ორწლიანი სასწავლო პროგრამა მხოლოდ 1400 დოლარამდე უჯდება. სწავლება მიმდინარეობს ელექტრონული სასწავლო მასალების გამოყენებით. სტუდენტი, ცხადია, უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას და უნდა გააჩნდეს ბაკალავრის დიპლომი.

ასეთი შეთავაზებით უნივერსიტეტი ერთი მხრივ, სწორედ სწავლის ხელმისაწვდომობაზე ზრუნავს, ხოლო მეორე მხრივ, სტუდენტებს შორის პოპულარობით სარგებლობს. თავად პროგრამებს რაც შეეხება, უნივერსიტეტი ამჟამად სთავაზობს სამაგისტრო პროგრამებს (MBA) მარკეტინგის მენეჯმენტში, სასტუმრო ბიზნესის ადმინისტრირებასა და ორგანიზაციათა მართვაში. პროგრამების უნიკალურობა კიდევ ის არის, რომ დასაქმებულ სტუდენტს საშუალებას აძლევს, ისწავლოს თავისუფალ დროს ან სულაც, დროებით ტაიმ-აუტი აიღოს და სწავლა მოგვიანებით განაგრძოს. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლება საქართველოში უკვე მიმდინარეობს. მომავალ სტუდენტს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, ახალ ჯგუფთან ერთად განაგრძოს სწავლა.

პროგრამის მიმდინარეობას საქართველოში კოორდინაციას უწევს სააგენტო „დანიკა კონსალტინგი“. როგორც სააგენტოში აცხადებენ, აქციას უნივერსიტეტი სწორედ სააგენტოს მეშვეობით ახორციელებს. სააგენტო თავის მხრივ, სწავლების განმავლობაში სტუდენტებს უნივერსიტეტთან კომუნიკაციაში სრულ ტექნიკურ მხარდაჭერას სთავაზობს. სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი და გადაეცემა დიპლომი.

პაატა ტყეშელაშვილის გახსენება

12 ოქტომბერს გლდანი-ნაძალადევის ყოფილი პროკურორი პაატა ტყეშელაშვილი 45 წლის გახდებოდა... ალბათ ძალიან რთულია წარმოიდგინო, რას მოიმოქმედებდა ამ ასაკში ადამიანი, რომელმაც რთულ სტრუქტურაში — პროკურატურაში წარმატებას ძალიან ახალგაზრდამ მიაღწია. მისი პროფესიონალიზმისა და საქმისადმი თავდადების დამსახურებაა, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად საკმაოდ რთულ ვითარებაში, პროკურატურის იმ რგოლს რომ ანდობდნენ, სადაც ყველაზე მეტი პრობლემა იყო მოსაგვარებელი. ისიც აგვარებდა, რადგან, როგორც კოლეგები ამბობდნენ, საქმეც იცოდა და თავიც შეეძლო მისთვის გაეწირა... 45 წლის ასაკშიც, ალბათ, ჩვეული თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ საქმიანობასა და ქვეყანას, ბევრ სასიკეთო საქმესაც გააკეთებდა, ძალიან ბევრ მწვერვალს დაიპყრობდა... იქნებ ოჯახიც შეექმნა, იქნებ, 45 წლისას შვილიც აეყვანა ხელში და უფლისთვის მადლობა ეთქვა, მამობა რომ განაცდევინა...

ამბობენ, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული არ არსებობს — ყველა მაშინ მიდის, როცა მისი ჟამი დგებაო, მაგრამ რწმენის მიუხედავად, პაატა ტყეშელაშვილის ოჯახის წევრები, ალბათ, ამ ჭეშმარიტებას ვერასოდეს დაეთანხმებიან — მათთვის დღემდე გაუგებარია, ვის ინტერესებს შეეწირა პროკურორის სიცოცხლე. დეპრესიისგან განკურნების ნაცვლად, ტყეშელაშვილი სიცოცხლეს გამოასალმეს. ესეც არ აკმარეს და, თავისმართლებისა თუ მთავარი დამნაშავის კვალის არევის მიზნით, თავად გარდაცვლილზე გაავრცელეს ათასი ბინძური ჭორი, რომელიც ძალიან ბევრმა არც დაიჯერა. განსაკუთრებით მათ, ვინც პაატას იცნობდა, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ან ვისაც მოუსმენია მისი მეგობრების ფრაზა: ემოციურსა და კეთილს, ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა, ყველა დეტალზე ნერვიულობდა, პროკურატურაში მუშაობისთვის ზედმეტად პატიოსანი იყოო.

12 ოქტომბერს პაატა ტყეშელაშვილს 45 წელი შეუსრულდებოდა, მშობლებს — თავის დროზე, ასევე წარმატებულ პროკურორ ელგუჯა ტყეშელაშვილსა და ჟურნალისტ თამარ მაისურაძეს მხოლოდ დიდი ტკივილი დაუტოვა... თუმცა, არის კიდევ ერთი, მთავარი, რაც პაატა ტყეშელაშვილის ოჯახის წევრებს მისგან დარჩათ — ძალიან ბევრი თბილი მოგონება, წარმატებული პროკურორის სახელი და კაცობის მაგალითი, რომელიც მისი ძმის, გიორგი ტყეშელაშვილის ბიჭებს აუცილებლად გამოადგებათ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.